პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 22 მარტი, 1950 წ. № 62 (8622). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვაჭრობის მუშაკები ახალი ამოცანების წინაშე — მოწინავე (1-ლი გვერდი).
არ შევანელოთ შეჯიბრება ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად (1-ლი გვერდი).
მ. გ. ცხაკაია (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-3 გვერდი).
ალმოვფხვრათ ხვნა-თესვის პირველ დღეებში შემჩნეული ნაკლოვანებანი (მე-3 გვერდი).
პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად (მე-3 და მე-4 გვერდი).
საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკური საბჭოს სხდომაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ვაჭრობის მუშაკები ახალი ამოცანების წინაშე

საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1950 წლის 1 მარტიდან „სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების შესახებ".

სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მათი მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის სტალინური მზრუნველობის შესანიშნავი გამოხატულებაა. საბჭოთა ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ მათი ცხოვრების მთელი ბედნიერება, მათი კეთილდღეობის მზარდი აღმავლობა ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობისა და მშრომელთა საჭიროებებისადმი ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მუდმივი მზრუნველობის შედეგია.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყველა საქონლის ფასების საშუალოდ 21 პროცენტამდე საერთო შემცირების დროს, ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის ფასები შემცირებულ იქნა უფრო მეტი პროცენტით. მაგალითად, პურისა და პურის ფქვილის ფასები შემცირდა 20-30 პროცენტით, ხორცისა—24-35 პროცენტით, ერბო-კარაქისა და მარგარინისა—30-35 პროცენტით, მარილისა—40-50 პროცენტით, საპნისა—40-50 პროცენტით. ყოველივე ამის შედეგად დიდად გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება სასურსათო და სამრეწველო საქონელზე.

უდავოა, რომ სახელმწიფო საცალო ფასების ახალმა შემცირებამ ახალი ამოცანები დააყენა საქონელბრუნვის დარგში. ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების, სავაჭრო აპარატის ყველა რგოლის მუშაკთა წინაშე მთელი სერიოზულობით დაისვა მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების ამოცანა.

ჯერ კიდევ 1949 წლის იანვარში, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი კ. ჩარკვიანი აღნიშნავდა, რომ „სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მოუქნელობის, აგრეთვე ვაჭრობის სამინისტროს მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობის მიზეზით, სავაჭრო ქსელი ბევრ შემთხვევაში ცუდად უწევს მომსახურებას მოსახლეობას. დღემდე გრძელდება საქონელბრუნვის დაგეგმვა და ქალაქებსა და რაიონებში საქონლის შეტანა მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. ვაჭრობის მუშაკები ხშირად იღებენ მიმწოდებელთაგან არაკეთილხარისხოვან საქონელს, აგრეთვე ისეთ საქონელს, რომელზეც მოთხოვნილება არ არის".

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ამ მხრივ მდგომარეობა მაინც არ არის სავსებით გამოსწორებული. ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როცა „საქვაჭრობა" და „ცეკავშირი" თავიანთ ქსელში გზავნიან ისეთ საქონელს, რომელზეც ადგილობრივ მოთხოვნილება არ არის. მომხმარებელთა მოთხოვნილებისათვის ანგარიშის გაუწევლობა აუცილებლად იწვევს საქონლის ჩაწოლას და, ამრიგად, ვერც საქონელბრუნვის გეგმები სრულდება.

სავაჭრო ქსელში კვლავ ადგილი აქვს გაფლანგვისა და სოციალისტური საკუთრების დატაცების შემთხვევებს, საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევას და ზომასა და წონაში მომხმარებელთა მოტყუებას. მართალია, ასეთი ფაქტები ბევრი არ არის, მაგრამ ისინი ცხადყოფენ, რომ სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები საკმაოდ არ იბრძვიან გამფლანგველთა და სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ, რომ ზოგან ჯერ კიდევ ზერელედ ეკიდებიან შემოწმებული, საქმის მცოდნე კადრებით სავაჭრო ქსელის განმტკიცების საქმეს.

ამხანაგმა ა. ი. მიქოიანმა თავის სიტყვაში ერევნის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1950 წლის 10 მარტს თქვა:

„მოსახლეობის კულტურის ზრდასთან, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, ბაზარზე ყოველგვარი საქონლის მზარდ სიუხვესთან ერთად, ბუნებრივია, მაღლდება მომხმარებლის მომთხოვნელობა გამყიდველებისადმი. იმას, რაც გუშინ მოსათმენი ჩანდა და ჩივილს არ იწვევდა, დღეს და ხვალ ჩვენი მომხმარებელი აღარ მოითმენს. საჭიროა, რომ დახლის ყოველი მუშაკი მზრუნველობით და ყურადღებით ეკიდებოდეს მომხმარებელთა მოთხოვნილებას".

ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში ცოტა როდია ისეთი მუშაკი, — გამყიდველია იგი, სექციის გამგე თუ მაღაზიის გამგე, — რომელიც მოსახლეობაში საბჭოთა საქონლის ნამდვილი პროპაგანდისტი და აგიტატორია, ეწევა აგიტაციას ყოფაცხოვრებაში საუკეთესო სახის საქონლის, ახალი საქონლის დანერგვისა და მოხმარებისათვის, რითაც ნამდვილად ხელს უწყობს მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდასა და გემოვნების გაუმჯობესებას. არიან ასეთი მუშაკები, მაგრამ მათი გამოცდილება რესპუბლიკის სავაჭრო ქსელის ყველა მუშაკთა საკუთრებად ჯერ არ გამხდარა. სავაჭრო ორგანიზაციების პარტიული ორგანიზაციები და პროფორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან ვაჭრობის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის.

ნამდვილი საბჭოთა, კულტურული ვაჭრობის გაჩაღება იმას ნიშნავს, რომ მტკიცე კავშირი არსებობდეს მომხმარებელსა და სავაჭრო ორგანიზაციას შორის, მომხმარებელთა მოთხოვნებს მუდამ ეწეოდეს ანგარიში, დახლის თვითეული მუშაკი და მაღაზიის გამგე გულისხმიერად ეკიდებოდეს მომხმარებლის შენიშვნებსა და წინადადებებს, იბრძოდეს ვაჭრობის ყველა დარგში კულტურის დანერგვისათვის, სისუფთავისა და წესრიგისათვის. ამ თვისებით უნდა იყოს აღჭურვილი ვაჭრობის დარგის თვითეული მუშაკი.

ამხანაგმა ა. მიქოიანმა ვაჭრობის მუშაკთა წინაშე მეტად სერიოზული და გადაუდებელი ამოცანები დასახა. ამ ამოცანებიდან ძირითადია: გავაუმჯობესოთ მუშაობა სავაჭრო მუშაკების შერჩევის დარგში, გავაუმჯობესოთ სავაჭრო მუშაკების პოლიტიკური აღზრდა და პროფესიული მომზადება, გავაუმჯობესოთ სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი კონტროლი.

საქართველოს ვაჭრობის მუშაკთა მოვალეობაა მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდონ ხელი ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას. სავაჭრო ქსელის თვითეულ მუშაკს ზედმიწევნით უნდა გავაცნოთ ამხანაგ მიქოიანის მიერ ვაჭრობის მუშაკების წინაშე დასახული გადაუდებელი ამოცანები, ჩავუნერგოთ მათ დავალებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

მხოლოდ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუდმივი დახმარებითა და ხელმძღვანელობით შეძლებენ რესპუბლიკის სავაჭრო ქსელის მუშაკები პირნათლად შეასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანები და აღმოჩნდნენ თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე.

დროშები და პრემიები

რესპუბლიკური და რაიონული გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1949 წლის მეოთხე კვარტალის საუკეთესო შედეგებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია — თითო 7.500 მანეთი — მიეკუთვნა: მესტიის საგზაო-საექსპლოატაციო უბანს (უბნის უფროსი ამხ. ოძიაძე), ყვარლის რაიონს (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. მებზევიშვილი) და გაგრის რაიონს (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. წურწუმია).

ჟიურიმ აღნიშნა აგრეთვე მეცხრე, მეოთხე, მეცამეტე, მეთერთმეტე, მეათე საგზაო-საექსპლოატაციო უბნებისა და გუდაუთის, სოხუმის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, ზემო-სვანეთის, მახარაძის, ონის, ამბროლაურის, წითელწყაროს, კასპის, ლაგოდეხის, დმანისის, ვანის და სხვა რაიონების კარგი მუშაობა გეგმის შესრულებაში.

ფულადი ჯილდოები ახალციხელ მეშახტეებს

ახალციხე. (საკ. კორ.). ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ახალციხელ მეშახტეთა დიდ ჯგუფს მიეცა ერთდროული ფულადი ჯილდოები. № 1 შახტის მებიგემ ა. ბოგველაძემ, რომელიც შახტებში 21 წელია მუშაობს, ჯილდოდ მიიღო 3.318 მანეთი. მნგრეველთა ბრიგადირს ლენინის ორდენოსან ტარასი არსენიძეს შახტებში მუშაობის 28 წლის სტაჟი აქვს. მას ნამსახურობისათვის მიეცა 3.528 მანეთი. ასევე დიდი თანხები მიიღეს მეშახტეებმა ი. სტოლიაროვმა, პ. გლადკოვმა, თ. პუჩნიუკმა და სხვებმა.

სულ ახალციხის შახტსამმართველოს ინჟინერ-ტექნიკოსთა და მეშახტეთა კოლექტივში გაცემულია 613.571 მანეთი ფულადი ჯილდო.

არ შევანელოთ შეჯიბრება ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად

დაზგათმშენებელთა წარმატებები

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ ოთხ დაზგას, ავითვისებთ ახალი მოდერნიზებული დაზგის წარმოებას, მექანიკურ საამქროში მოვაწყობთ სტახანოვურ უბანს, კოკილური წესით დამზადებაზე გადავიყვანთ დაზგების ოთხი დეტალის ჩამოსხმას—ასეთი იყო ქარხანა „დაზგის" კოლექტივის წინასაარჩევნო ვალდებულებანი.

დაზგათმშენებლებმა ნაკისრი ვალდებულებანი სასახელოდ გაანაღდეს. 12 მარტისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე დაზგა, ათვისებული და დამზადებულია ახალი მოდერნიზებული დაზგა, რომლის გამოცდა მთავრდება. ქარხანაში მალე შეუდგებიან ასეთი დაზგების სერიულ წარმოებას. მექანიკურ საამქროში მოწყობილია სტახანოვური უბანი, ათვისებულია კოკილური წესით დაზგების ოთხი დეტალის ჩამოსხმა.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში მაღალნაყოფიერი მუშაობით გამოირჩეოდნენ სამსხმელო და ამწყობი საამქროები, რომლებსაც ინჟინრები გორგასლიძე და ვაწაძე ხელმძღვანელობენ. ორივე ამ საამქრომ საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე იდგნენ მსხმელები ვ. ადუაშვილი და ე. ოგანეზოვი, მჭედელი ვ. ზამულენკო, ხარატები პ. ზახაროვი და პ. ვასილევსკი, ამწყობი-ზეინკლები ს. გეჯაძე, და ნ. კონევი, მღებავები მ. გაფრინდაშვილი, ი. მძინარიშვილი და მრავალი სხვა სტახანოველი, რომლებიც გამომუშავების დღიურ ნორმებს ორ-სამმაგად ასრულებდნენ.

ქარხანაში განახორციელეს სამჭედლო საამქროს ოსტატის შ. ჩახუნაშვილისა და მჭედელ ვ. ზამულენკოს რაციონალიზატორული წინადადება, რითაც მცირდება პანჩიკების დასამზადებლად საჭირო ლითონის ხარჯი. განხორციელებულია აგრეთვე სამსხმელო საამქროს ოსტატის მ. ჯავახიშვილის წინადადება დაზგის კარების ახალი მეთოდით გაფორმების შესახებ. ამის შედეგად დიდად გაუმჯობესდა დაზგის ამ დეტალის ხარისხი და მკვეთრად შემცირდა წონა. დაზგათმშენებლები, რომლებიც უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებას, კვლავ ჩვეული ენერგიით განაგრძობენ მუშაობას ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

სამშენებლო მექანიზმების მართვისა და რემონტის ოსტატები

თბილისში გაჩაღდა დედაქალაქის კეთილმოწყობის ახალი სამუშაოები. აფართოებენ ქუჩებს, აგებენ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს, აწყობენ გაზონებს, პარკებს, ბაღებს... ამ დიდი მასშტაბის მშენებლობის ფართო მექანიზაციისა და გამოყენებული მექანიზმების დროული და მაღალხარისხოვანი რემონტისათვის „თბილმშენმა" შარშან დიდუბეში აავო პირველი მექანიკური ქარხანა. ქარხანას დიდი რაოდენობით აქვს ექსკავატორები, ბულდოზერები, ტრაქტორები, ავტომატური ამწეები, ბეტონსარევი მანქანები, წყლის ტუმბოები, ვერტიკალური ამწეები და სხვა მექანიზმები.

ქარხნის კოლექტივმა 1949 წლის გეგმა 151,4 პროცენტით შეასრულა, მიმდინარე წელს მან კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა და გადაჭარბებით გაანაღდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები.

აქ მომუშავე მოწინავე ზეინკლებმა, მექანიკოსებმა, ხარატებმა, ექსკავატორის მემანქანეებმა და სხვა პროფესიის სტახანოველებმა, რომლებიც არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მაღალნაყოფიერი პატრიოტული შრომის ნიმუშებს იძლეოდნენ, განამტკიცეს და გააფართოეს მოპოვებული მიღწევები. ექსკავატორის მემანქანე ო. ნოზაძე, რომელმაც ახლახან შეისწავლა ექსკავატორის მართვა, დღეში სისტემატურად ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს. გასულ დეკადაში წარჩინებული სტახანოველის, ექსკავატორის უფროსი მემანქანის პ. გოგიას უმცირესი მაჩვენებელი — 200 პროცენტი იყო. კომუნისტი ზეინკალი ვ. ჩურნიშოვი და ხარატი ვ. ხაცევიჩი მექანიზმების რემონტის დავალებას სამმაგად ანაღდებენ. მათ მაგალითს ბაძავენ სხვებიც და ეჯიბრებიან ერთმანეთს უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებაში.

იზრდება საძირე ტყავის გამოშვება

არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში თბილისის ტყავის პირველი ქარხნის კოლექტივმა შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა. იანვარ-თებერვლისა და მარტის პირველი დეკადის განმავლობაში მან შეძლო გეგმის გადამეტებით 17 ტონა ფეხსაცმლის საძირე ტყავის გამოშვება, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 11 პროცენტით და მიაღწია ნედლეულის ერთ პროცენტ ეკონომიას.

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ქარხნის სათრიმლავმა საამქრომ. ორი თვისა და ათი დღის განმავლობაში საამქროს კოლექტივმა მოგვცა 1,5 ტონა სათრიმლავი მასალის და 2 ტონა მარილის ეკონომია. ნაკისრ ვალდებულებებთან შედარებით საამქროს თვითეულმა მუშამ 15-20 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ასევე გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები სანაცრე საამქრომ, რომელსაც გ. პავლიაშვილი ხელმძღვანელობს. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე ტყავის გამომყვან საამქროში, რომელსაც ი. ჩარგეიშვილი ხელმძღვანელობს.

ამჟამად ქარხანაში მუშაობენ ახალ ტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად, სახელდობრ ტყავის სატკეცი მანქანის ნაყოფიერების გასადიდებლად. ამ მუშაობას ხელმძღვანელობს ინჟინერ-მექანიზატორი ი. ვეფხვაძე. ქარხანაში შეუდგნენ აგრეთვე საქამრე და გაუმჯობესებული ხარისხის სარანტე ტყავის ათვისებას.

მ. გ. ცხაკაია

თბილისი. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური და ბაქოს კომიტეტები დიდად დაამწუხრა ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწის მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაიას გარდაცვალებამ. მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაიამ მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურს, ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას მოახმარა. ამხ. ცხაკაიას სახელი ჩვენი პარტიის ისტორიაში შევიდა, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი დამწყების სახელი. დიდი დამსახურება მიუძღვის ამხ. ცხაკაიას ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო ამიერკავკასიის ბოლშევიკების დარაზმვაში, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოძმე ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის განმტკიცებაში. ამხ. მიხა ცხაკაიას, პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის, გულისხმიერი ადამიანის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელთა გულში.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური და ბაქოს კომიტეტები

სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით აუწყებენ სომხეთის მშრომელთ, რომ ამა წლის 19 მარტს ქალაქ მოსკოვში გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწე, ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამწყები, ამიერკავკასიის ხალხთა დაახლოებისა და მეგობრობისათვის დაუღალავი მებრძოლი, ერთგული და მტკიცე ბოლშევიკი, რომელიც განუწყვეტლივ იბრძოდა ლენინ-სტალინის საქმისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ამხანაგი მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაია

მ. გ. ცხაკაიას ნათელ ხსოვნას

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები ღრმა მწუხარებით შეხვდნენ ცნობას ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაიას გარდაცვალების შესახებ.

20 მარტს ასობით მოსკოველი შეიკრიბა კურსკის ვაგზლის მოედანზე, საიდანაც მ. გ. ცხაკაიას ცხედარს დასაკრძალავად მიასვენებენ საქართველოში. საბჭოთა დედაქალაქის მშრომელები მოვიდნენ რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ უხუცესი რევოლუციონერის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამწყების წინაშე.

სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეთა შორის არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მ. გ. ცხაკაიას კუბოსთანაა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს აღმასკომის გვირგვინები.

...გაისმის სამგლოვიარო მელოდიის ჰანგები. პერონზე არიან განსვენებულის უახლოესი მეგობრები, დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები, პარტიული მუშაკები.

მ. გ. ცხაკაიას ცხედარი დაასვენეს პლატფორმაზე მოსკოვ-თბილისის მატარებლის სპეციალურ ვაგონში.

იმავე მატარებლით თბილისს მ. გ. ცხაკაიას დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ნ. დანილოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მდივანი პ. ი. ლეონოვი. (საკდესი).

ამხანაგ მ. გ. ცხაკაიას დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

ამხ. მ. გ. ცხაკაიას ცხედარი დასვენებული იქნება თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის დარბაზში.

განსვენებულ ამხ. მ. გ. ცხაკაიასთან გამოსათხოვრად თავისუფლად შესვლა შეიძლება 23 მარტს საღამოს 6 საათიდან და 24 მარტს დილის 10 საათიდან.

სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 23 მარტს საღამოს 7 საათზე და 24 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე.

ამხ. მ. გ. ცხაკაიას დაკრძალვა მოხდება მთაწმინდის პანთეონში 24 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე.

ამხ. მ. გ. ცხაკაიას ცხედარს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლიდან გამოასვენებენ 24 მარტს ნაშუადღევის 2 საათზე.

სოციალისტური შრომის გმირები

ვ. ნ. ლომაძე

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 5.084 სრულასაკოვან მსხმოიარე ხეზე საშუალოდ თვითეულზე 274 ცალი ლიმონის მოყვანისათვის.

ს. ხ. ზოიძე

ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.094 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ხ. მ. ემინაძე

ქობულეთის რაიონის დაგვის ხასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.085 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

თ. ა. დარასელია

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 88,7 ცენტნერი სიმინდის მოყვანისათვის.

ეროვნული

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

მინსკის ვოროშილოვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ბორისოვის 1 მაისის სახელობის სტამბის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

სარატოვის იურიდიული ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის მათემატიკური საზოგადოების წევრებმა;

პეჩორის რკინიგზის სამმართველოს მუშაკთა კოლექტივმა;

მინსკის ვოროვსკის სახელობის შპალერის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

გორკის საფრეზერო დაზგების ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ესტონეთის სსრ ხიუმასის მაზრის ემასტეს თემის კოლმეურნეობა „აყვავების“ წევრებმა;

ალტაის მხარის ტოპჩიხის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „მაიაკის“ წევრებმა;

კუიბიშევის ოლქის ისაკლის რაიონის კოლმეურნეობა „პამიატ კალინინას“ წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის ოლხოვკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ სოციალიზმას“ წევრებმა;

ქ. ბაქოს პროკურატურის მუშაკთა კოლექტივმა;

ოდესის პროფკავშირთა საოლქო საბჭომ;

კრასნოდარის მხარის ილინსკის რაიონის მოლოტოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

გორკის ოლქის ბალახნის რაიონის კირილჩანსკის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საზეიმო კრებამ;

სარატოვის ოლქის პეტროვსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კულტარმეეცის“ მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

ხარკოვის ოლქის ლოზოვაიას რაიონის კოლმეურნეობა „რადსელის“ წევრებმა;

პოლტავის ოლქის შიშაკის რაიონის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როვნოს ოლქის სოფელ კრუპეცის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ლოზნო-ალექსანდროვსკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ტამბოვის ოლქის ლამკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პარტიზანის“ წევრებმა;

კიროვაბადის მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელი სადგურის მუშაკთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ქიურდამირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ ზგურიცკის რაიონის მოლდავეთის კ. პ. (ბ) II ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოლინის ოლქის როჟიშჩის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ წევრებმა;

ხარკოვის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

პენზის ოლქის შემიშეიკის რაიონის სოფელ ვერხნიაია დუბროვკას შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ტაგანროგის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკალური სკოლის პედაგოგთა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა კოლექტივმა;

ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალური სასწავლებლის, ათწლიანი სკოლის და შვიდწლიანი სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მოსამსახურეებმა;

არხანგელსკის მემინდვრეობის საოლქო საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მოლდავეთის სსრ ოტაკის რაიონის სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ნოვო-ანენსკის რაიონული საავადმყოფოს და პოლიკლინიკის სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის „ზაგოტზერნოს“ ზაჩეპილოვკის პუნქტის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ამიერკარპატის ოლქის ველიკი ბერეზნის ოკრუგის სამედიცინო მუშაკებმა;

კარელია-ფინეთის სსრ პიტკიარანტის რაიონის იმპალახტის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა, პიონერებმა და მოსწავლეებმა;

ქ. ხარკოვის ოქტომბრის რაიონის ქალთა აქტივის კრებამ;

სარატოვის ოლქის ცარევშჩინის სპირტის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სარატოვის რკინიგზის მექანიკური ტექნიკუმის და ორთქლმავლის მემანქანეთა სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სტალინგრადის ტრაქტორის დეტალებისა და ნორმალების ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტრესტ „ვოლოგოდსტროის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

გაზეთ „ორლოვსკაია პრავდას“ რედაქციის მუშაკთა კოლექტივმა;

ბიისკის ნავსადგურის სამდინარო კაპიტნებმა, მექანიკოსებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სამხრეთ დონეცის რკინიგზის სლავიანსკის საორთქლმავლო დეპოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბაქოს რკინიგზის ტექნიკუმის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაკთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ჩერნიახოვსკის საქალაქო კომიტეტმა;

აზერბაიჯანის სსრ სიაზაკის რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა კრებამ;

ალტაის მხარის მამონტოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის კოლექტივმა;

„გლავმეეიპრომის“ კუიბიშევის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ტიუმენის № 3 სკოლის პირველმა „ბ“ კლასმა;

ქ. ტალინის იურიდიული სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

კემეროვოს ოლქის ქ. გურიევსკის კავშირგაბმულობის მუშაკთა კრებამ;

ჩრდილოეთის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის საგზაო სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ჩკალოვის ოლქის პერევოლოცკის რაიონის სამედიცინო მუშაკთა რაიონულმა კონფერენციამ;

ქ. ტაშკენტის ტრესტ „სრედაზმასლოსტროის“ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბარანოვიჩის სარემონტო-მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კურსკის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების, სამედიცინო მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტის და წითელი ჯვრის საოლქო კომიტეტის მუშაკთა საერთო კრებამ;

კურსკის ადგილობრივი სათბობი მრეწველობის საოლქო სამმართველოს და „ტორფფონდის“ საოლქო სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის რკინიგზის სამმართველოს მუშაკებმა;

კალუგის დაწყებითი და საშუალო სკოლის პროფკავშირის საოლქო კომიტეტის მე-3 პლენუმის მონაწილეებმა;

არმავირის ჰიდროელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

უფის რკინიგზის სტერლიტამაკის განყოფილების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა,

საკავშირო ალკკ ადიღეს საოლქო კომიტეტმა;

მოსკოვის ოლქის ქ. პავლოვ-პოსადის საქალაქო სამრეწველო კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტამბოვის ლიქიორ-არაყის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

მოსკოვის მიწათმოწყობის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორებმა, მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს პროფსაბჭოს

პრეზიდიუმში

სოციალისტური შეჯიბრების 1949 წლის მე-4 კვარტალის შედეგები

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის მე-4 კვარტალის შედეგები საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, საგამომცემლო და წიგნით ვაჭრობის სამმართველოს საწარმოებში.

კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოებიდან პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა დაუტოვა და პირველი ფულადი პრემია 50 ათასი მანეთი მიაკუთვნა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს; საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა დაეტოვა და პირველი პრემია 20 ათასი მანეთი მიეკუთვნა თბილისის წყალსადენის ტრესტს; მეორე ფულადი პრემია 8 ათასი მანეთი მიეცა ფოთის წყალსადენის კოლექტივს, ხოლო მესამე პრემია 10 ათასი მანეთი თბილისის კანალიზაციის ტრესტს.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებიდან პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა და პირველი პრემია 22.500 მანეთი მიაკუთვნა თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ვაკის აგურის ქარხანას.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებიდან შეჯიბრებაში კვლავ გამარჯვებული გამოვიდა თბილისის ავტოსარემონტო სახელოსნო, რომელსაც დაეტოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებიდან პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო და პირველი პრემია 30 ათასი მანეთი მიაკუთვნა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს.

გარდამავალი დროშები მოწინავე საწარმოებს

ხაშური. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის იანვარში საწარმოო გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულების, მომჭირნეობის მტკიცედ დაცვის, მკაცრი ზამთრის პირობებში მატარებელთა შეუფერხებელი მიმოსვლისა და ტვირთზიდვის დავალებათა შესრულებისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები გადაეცა ხაშურის საორთქლმავლო დეპოს (უფროსი გ. თომაძე), ენერგომომარაგების უბნის (უფროსი შ. ცაცებაშვილი), სალიანდაგო, შენობათა და ნაგებობათა დისტანციების (უფროსები ქ. ნავერნი, შ. რუხაძე) კოლექტივებს.

აღნიშნულ საწარმოთა კოლექტივებიდან დაჯილდოებულია აგრეთვე 15 მუშაკი — „სტალინური გაწვევის ნიშნით“, 6 — „წარჩინებული მეორთქლმავლის“ ნიშნით, 12 — „წარჩინებული მელიანდაგის“ ნიშნით, ხოლო 6 მუშაკს მიეცა ფულადი ჯილდო.

ჩაის ახალი საბჭოთა მეურნეობა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონული ცენტრიდან 4 კილომეტრის დაშორებით ონარიეში გაშენდება ჩაის ახალი საბჭოთა მეურნეობა. მალე დაიწყება მეურნეობის კანტორისა და მუშათა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

ონარიეს ჩაის საბჭოთა მეურნეობა 1.050 ჰექტარს დაიჭერს. ჩაის პლანტაციები 600 ჰექტარი იქნება. დანარჩენ ტერიტორიაზე კი აშენდება ნაგებობანი, მოეწყობა მუშა-მოსამსახურეთა საბოსტნე ნაკვეთები, დაირგვება ხეხილი და მოეწყობა დამხმარე მეურნეობა. გათვალისწინებულია წელს 50 ჰექტარი ჩაის გაშენება.

სამკურნალო აბანოს მშენებლობა

ონი. (საკ. კორ.). ქვემო ბარის გოგირდოვანი წყალი სამკურნალო თვისებებით ძველთაგანვე ცნობილი იყო რაჭაში. მაგრამ აქ მკურნალობის არავითარი პირობები არ იყო.

გოგირდოვანი წყლის გამოყენებისათვის სოფელ ქვემო ბარის კოლმეურნეობამ საკუთარი საშუალებებით დაიწყო სამკურნალო აბანოსათვის ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგება. მშენებლობა გასულ წელს მთლიანად დამთავრდა. შენობის პირველ სართულში მოთავსებული იქნება აბაზანები და საქვაბე მოწყობილობა, ხოლო მეორე სართულის ოთხი ოთახი გამოყენებული იქნება დამსვენებლებისათვის.

სამკურნალო აბანო, რომლის მშენებლობაც 75 ათასი მანეთი დაჯდა, საუკეთესოდ იქნება მოწყობილი. მისი ექსპლოატაცია ივნისში დაიწყება.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა მოისმინა ამხ. ქ. ბეჟვაიას მოხსენება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობისა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

— ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი ოთხი წლის მანძილზე, — თქვა მომხსენებელმა, — აჭარის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის დარგში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. საგრძნობლად გადიდდა მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების ფართობი, გაუმჯობესდა მათი მოვლა-პატრონობა, გაიზარდა პირუტყვის სულადობა. კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გადიდდა კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალი და შრომადღის ღირებულება. ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება მრავალწლიანი კულტურების გაშენების, ერთწლიანი კულტურების თესვის, პირუტყვის სულადობის ზრდის, სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები, იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ამასთან ერთად, — ამბობს შემდეგ ამხ. ქ. ბეჟვაია,—სოფლის მეურნეობის დარგში არსებული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული. მაშინ, როცა მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველწლიურად ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნის და სხვა კულტურების მაღალი მოსავალი მოჰყავთ, ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია. მაგალითად, ჩაის მოსავლიანობა მცირეა ქობულეთის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (ჰექტარზე მოჰყავთ 1.214 კილოგრამი) და ბათუმის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (ჰექტარზე მოჰყავთ 1.090 კილოგრამი).

პირუტყვის სულადობა გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ სრულდება წველადობის გეგმები, რაც გამოწვეულია პირუტყვის ცუდი მოვლა-პატრონობით.

არსებითი ნაკლოვანებანია შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში. ცალკეული საწარმოო ბრიგადები და რგოლები არასწორად არიან დაკომპლექტებული. საკოლმეურნეო შრომაში დღემდე არ მონაწილეობს ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე, არის სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები.

ილაპარაკა რა აჭარის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ სერიოზულ ამოცანებზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წელს აჭარაში უნდა გაშენდეს 150 ჰექტარი ჩაი, 360 ჰექტარი ციტრუსები, 204 ჰექტარი ბამბუკი, 25 ჰექტარი ვენახი, უნდა დაირგოს 1.030 ჰექტარი თამბაქო, დაითესოს 9.730 ჰექტარი მარცვლეული კულტურები, ამასთან უნდა დაირგოს 1.164.000 ძირი ევკალიპტი.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულება მოითხოვს პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და ამით უზრუნველვყოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შემჭიდროებულ აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარება, მოსავლიანობის შემდგომი ამაღლება.

1950 წელს აჭარაში უნდა მოიკრიფოს და ფაბრიკებს ჩაბარდეს 13.179 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 1.755 ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს, ხოლო საშუალო მოსავალი ჰექტარზე გასულ წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 354 კილოგრამით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი ბრძოლა მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. ჩაის პლანტაციების გადაბარვის გეგმა შესრულებულია 43,3 პროცენტით, გასხვლა-გაფორმებისა კი 27,8 პროცენტით. ბათუმის რაიონის გორკის სახელობის კოლმეურნეობას ჩაის პლანტაციების გადაბარვის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 10 პროცენტით, ლენინის სახელობის კოლმეურნეობას — 11,8 პროცენტით. ასეთივე მდგომარეობაა ქობულეთის რაიონის მიქოიანისა და ჩარკვიანის სახელობისა და ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. ქობულეთის რაიონის კახათის და ბათუმის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობებს ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები 10 მარტისათვისაც არ ჰქონდათ დაწყებული.

ჩამორჩება ციტრუსოვანთა ნარგავების შემობარვის გეგმის შესრულებაც. ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგოს პლანტაციებში მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა. სერიოზული ჩამორჩენაა საგაზაფხულო ხვნის გეგმის შესრულებაში. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აგროწესების დარღვევის შემთხვევებია.

მომხსენებელი ლაპარაკობს ჩაის და ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლა-პატრონობის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობაზე და იმ განსაკუთრებულ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გატარდეს წელს ციტრუსოვანთა მეურნეობაში მკაცრი ზამთრის შედეგების აღმოსაფხვრელად.

სერიოზული ამოცანა დგას მეთამბაქოეთა წინაშე. წელს უნდა დაირგოს 1.030 ჰექტარი თამბაქო, სახელმწიფოს ჩაბარდეს 1.200 ტონა თამბაქოს ნედლეული. მაგრამ ამ ამოცანის შესასრულებლად მუშაობა სუსტად არის გაშლილი. ქედისა და ხულოს რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში თამბაქოს თესვა სათბურებში ჩამორჩება, ზოგ შემთხვევაში კი უხარისხოდ ტარდება. 15 მარტისათვის თამბაქოს თესვის გეგმა მხოლოდ 50,7 პროცენტით იყო შესრულებული. ეს ავალებს პარტიის ხულოს, ქედისა და ბათუმის რაიონულ კომიტეტებსა და რაიაღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მაღალხარისხოვანი სარგავი მასალის გამოყვანას.

ამხ. ქ. ბეჟვაია დაწვრილებით შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო თესვა ჩამორჩება. ცალკეულ კოლმეურნეობებს სათესლე მასალა აკლიათ. ნელი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტი, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მუშა-პირუტყვის მოვლას და მაქსიმალურად გამოყენებას.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის ბრძოლაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სოციალისტური მეთოდების ფართოდ დანერგვას, მაგრამ ზოგან დღემდე სუსტად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, საკმაო ყურადღება არ ექცევა უხვი მოსავლის ოსტატების — სოციალისტური შრომის გმირების გამოცდილების განზოგადებას და მათი მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვას.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ახორციელებენ კონტროლს კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექციების საქმიანობისადმი. პარტიულ კრებებზე ნაკლებად იხილავენ სამეურნეო საკითხებს და სუსტად იბრძვიან მიღებულ დადგენილებათა შესასრულებლად, პარტიის რაიკომები კი ზოგ შემთხვევაში ურიგდებიან ამ მდგომარეობას და ქმედით ზომებს არ იღებენ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ხ. წულუკიძე. ილაპარაკა რა კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე, ამხ. წულუკიძემ გააკრიტიკა ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაობა.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ქ. გოგიამ აღნიშნა, რომ მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები. პლანტაციების გადაბარვის გეგმა შესრულებულია 82 პროცენტით. შედარებით ჩამორჩება ციტრუსების სამუშაოები. როგორც ამხ. გოგიამ განაცხადა, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს დღემდე არ მოუცია კონკრეტული მითითებანი დაზიანებული ციტრუსების წამლობა-გამოჯანსაღების საკითხზე.

პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ტაკიძემ აღნიშნა ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაში და განაცხადა, რომ რაიკომი გადაჭრით გააძლიერებს მუშაობას ამ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად. მან გააკრიტიკა აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობა და აღნიშნა, რომ სამინისტროს წარმომადგენლები მხოლოდ ცნობების შესაგროვებლად მოდიან რაიონში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის მუშაობა გააკრიტიკა აგრეთვე ქედის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ესაძემ.

პლენუმზე გამოვიდნენ აგრეთვე ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ქონიაძე, პარტიის ბათუმის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ხელაძე, სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ე. ტუღუში, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ყურაშვილი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. დ. დავითაძე.

პლენუმის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. მ. ყურშუბაძის გამოსვლამ. იგი შეეცადა გვერდი აევლო სამინისტროს მუშაობის კრიტიკისათვის და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში არსებული ნაკლოვანებანი აეხსნა მხოლოდ ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების სუსტი მუშაობით.

მეორე საკითხზე — სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ— მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. კუბლაშვილმა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აჭარის სკოლებში ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, გაძლიერდა სკოლების მატერიალური ბაზა. ძირითადად უზრუნველყოფილია სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩაბმა. ამჟამად აჭარის სკოლებში 40 ათასზე მეტი მოსწავლე ირიცხება. სკოლებს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 400-ზე მეტი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებელი შეემატა. მარტო შარშან 82 ახალი სკოლის შენობა აშენდა. ამასთან ერთად, — განაცხადა მომხსენებელმა, — აჭარის სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში არსებითი ნაკლოვანებებიც აქვთ.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის გარეთ დარჩენილია სასკოლო ასაკის 502 ბავშვი. ზოგიერთ სკოლაში სასწავლო რეჟიმის დარღვევის ფაქტებია, ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ქცევის წესების დაცვას. დღემდე აღმოფხვრილი არ არის მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება ზოგჯერ მოწყვეტილია აღმზრდელობითს ამოცანებს. ზოგიერთ სკოლაში დაბალია სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი აკადემიურად ჩამორჩენილია, ხოლო მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან სუსტად მუშაობენ.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ სკოლისა და მასწავლებლების მუშაობისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობასა და კონტროლზე, მკაცრად გააკრიტიკა განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების განყოფილებების მუშაობა, რომლებიც განსაკუთრებით სუსტად არიან დაკავშირებული შორეული რაიონების სკოლებთან. ყველა სკოლა, განსაკუთრებით ხულოსა და ქედის რაიონების სკოლები, მთლიანად უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური კადრებით.

განათლების ორგანოები სუსტად მუშაობენ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების დადებითი გამოცდილების პოპულარიზაციისათვის. სასკოლო პარტიული ორგანიზაციები, კომკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტები საკმაოდ არ ხელმძღვანელობენ სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები საკმაო ღონისძიებებს არ ახორციელებენ სკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად, სისტემატურად არ იხილავენ სასკოლო საკითხებს და გადამჭრელ ზომებს არ იღებენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების, მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სკოლის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს საშუალო სკოლის დირექტორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ნაზიკო გოგიტიძემ, პარტიის ხულოს რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ბერიძემ, მშრომელთა დეპუტატების ბათუმის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ლასურიძემ, ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ლ. დიასამიძემ, კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. დიასამიძემ, მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. პ. ღვალაძემ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ე. ახვლედიანმა.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

დ. პაიჭაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ვაგონთა მიმოქცევის დაჩქარება რკინიგზელების მთავარი ამოცანაა

ვაგონთა მიმოქცევის დაჩქარება სახელმწიფო ტვირთზიდვის გეგმის წარმატებით შესრულების საწინდარია. ვაგონთა მიმოქცევის დაჩქარებისათვის საჭიროა დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციების დროს მათი გაცდენის მინიმუმამდე შემცირება, ვაგონების მუდმივ მოძრაობაში ყოფნა.

როგორ მუშაობენ ამ მხრივ თბილისელი რკინიგზელები, აკეთებენ თუ არა ისინი ყოველივეს იმისათვის, რომ დააჩქარონ ვაგონების მოძრაობა, აამაღლონ სატვირთო ოპერაციებისათვის მათი გამოყენების კოეფიციენტი? ამ საკითხების გასარკვევად ამ დღეებში მოწვეულ იქნა რკინიგზელებისა და რკინიგზის კლიენტების გაერთიანებული თათბირი თბილისის სატვირთო და ნავთლუღის საკვანძო სადგურებზე.

თბილისის სატვირთო სადგური მრავალ კლიენტს, სახელმწიფო ტვირთების მიმღებ და გამგზავნ ორგანიზაციებს უწევს მომსახურებას. მართალია სადგურის კოლექტივი, — როგორც ეს აღნიშნა სადგურის უფროსმა ამხ. ბ. ჭყოიძემ, — სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს ვაგონების დატვირთვის გეგმას, მაგრამ ვაგონების გადმოტვირთვის გეგმების შესრულებაში შესამჩნევად ჩამორჩება, რაც იწვევს ვაგონების გაცდენას.

ვაგონთა გაცდენის, ე. ი. მიმოქცევის დაგვიანების მთავარი მიზეზია რკინიგზის სატვირთო სადგურის მუშაკებისა და კლიენტურის შეუწყობელი მუშაობა. 1949 წელს თბილისის სატვირთო სადგურზე ვაგონების საერთო მოცდენამ 115.000 ვაგონსაათი შეადგინა.

ხშირად აქ ვაგონების გაცდენას იწვევს მიღებული ტვირთების სადგურიდან გატანის დაგვიანება, საბუთების დროზე მიუღებლობა და სხვ.

ანალოგიური მდგომარეობაა ნავთლუღის კვანძზეც. ვაგონების გაცდენა აქ ხდება უმთავრესად იმიტომ, რომ კლიენტების უმეტესობამ (ხორცკომბინატი, მარგარინის ქარხანა, საპნის ქარხანა და სხვები) ვერ მოაწესრიგა ვაგონების გადმოსატვირთავად და დასატვირთავად განუწყვეტელი სადღეღამისო მუშაობა. ხშირია შემთხვევა, როცა კლიენტის მისამართით ვაგონი მთელი საღამოს და დილამდე ხელუხლებლად დგას სათანადო ჩიხში. მოწესრიგებული არ არის აგრეთვე გამოსასვლელ დღეებში მუშაობა და ყოველივე ეს იწვევს ვაგონების მოცდენას.

გამონაკლისს შეადგენენ სამგორის მშენებლობის სამმართველო და „ზაგოტზერნოს“ ნავთლუღის ბაზა, რომლებიც დიდი რაოდენობით იღებენ ვაგონებს, სწრაფად ახერხებენ მათ გადმოტვირთვა-დატვირთვას და ამით აჩქარებენ ვაგონების მიმოქცევას.

ვაგონების მიმოქცევის დაგვიანებაში ბრალი მიუძღვით თვით რკინიგზელებსაც. ისინი დროულად ვერ ატყობინებენ კლიენტებს მათი მისამართით ვაგონების მიღებას, ხშირად აგვიანებენ დატვირთული ან ცარიელი ვაგონების გაგზავნას. ვაგონების მოცდენას იწვევს აგრეთვე ზოგი ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის სიძნელე. აღნიშნული იყო, რომ ხე-ტყის მასალით დატვირთული ვაგონების დაცლა სიძნელეს წარმოადგენს, რადგან სადგურზე სათანადო მექანიზმები არაა. თათბირმა საჭიროდ ცნო დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებისას გამოიყენონ ეგრეთწოდებული მცირე მექანიზაცია.

ვაგონების მიმოქცევის დაჩქარების შესახებ მოწვეულ თათბირებს დაესწრნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ჭვლივიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე ამხ. ბ. ლელიძე, გზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ა. გაბიჩვაძე და რკინიგზის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საყურადღებო ნარკვევი

„მოგონებას რაიმე მნიშვნელობა რომ ექნეს, საჭიროა იგი უპირველეს ყოვლისა გულწრფელი იყოს და არა გამოგონილი", ასე წერდა სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

გამომცემლობა „ხელოვნების" მიერ ახლახან გამოქვეყნებული მიხეილ ქორელის წიგნი „ფილიმონ ქორიძე" საყურადღებოა იმით, რომ დაწერილია გულწრფელად და სიმართლით. ავტორი თავის შრომას ბიოგრაფიულ ნარკვევს უწოდებს, მაგრამ ჩვენ აქ საქმე ქორიძის ცხოვრების თარიღების უბრალო აღნუსხვასთან კი არა გვაქვს, არამედ ყველა ამბავი მოთხრობილია ისეთი სიყვარულით და დამაჯერებლობით, რომ მართებული იქნებოდა ამ შრომისათვის გვეწოდებინა მხატვრული ნარკვევი.

წიგნის პირველი თავი მიძღვნილია ფილიმონ ქორიძის ბავშვობისადმი. მეორე თავში ავტორს გადავყავართ ქალაქ ქუთაისს, სადაც ფილიმონი სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. ღარიბი დედმამის შვილს მძიმე პირობები ჰქონდა. მიუხედავად ამისა ნიჭიერმა ყრმამ სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა. ფილიმონი როგორც წარჩინებული მოსწავლე, თბილისის სასულიერო სემინარიაში სახელმწიფო (სასულიერო უწყების) ხარჯზე მიიღეს და სემინარიასთან არსებულ ინტერნატში იზრდებოდა. ავტორი სწორად გვიხატავს სემინარიის სულშემხუთავ რეჟიმს.

ფ. ქორიძე ბავშვობაშივე იქცევდა ყურადღებას თავისი ლამაზი ხმით. ბავშვობაში მას დისკანტი ჰქონდა, დავაჟკაცებისას მისი ხმა თანდათანობით ბანზე გადავიდა და იგი სემინარიის გუნდის თვალსაჩინო მგალობელი გახდა.

ფილიმონმა წარმატებით დაასრულა სემინარია. მშობლების ნატვრა იყო ფილიმონი სასულიერო გზაზე დამდგარიყო და შემოსავლიანი მრევლი მიეღო. მაგრამ ფილიმონს სასულიერო კარიერა არ იზიდავს. საეკლესიო გუნდის მგალობელი, იშვიათი ხმის პატრონი ფილიმონი საყოველთაო ყურადღებას იპყრობს და მას ურჩევენ ხმა დაიმუშაოს. როგორც იქნა ასრულდა ფილიმონის ნატვრა — ხმის დასამუშავებლად იგი იტალიაში გაემგზავრა. იტალიაში ორიოდე წლის ყოფნის შემდეგ სიმღერაში იმდენად გაიწაფა, რომ მას სამხრეთ ამერიკაში სამოგზაუროდ იწვევენ. ქალაქ რიო დე-ჟანეიროში იგი წარმატებით მღეროდა ბანის პარტიებს. იტალიაში დაბრუნებისას მოეწყო მისი დებიუტი მილანის ცნობილ თეატრ „ლა სკალაში" როსინის ოპერა „სევილიელ დალაქში". ფ. ქორიძემ შეასრულა დონ ბაზილიოს პარტია და მოწონებაც დაიმსახურა.

შემდეგ ფილიმონ ქორიძეს იწვევენ პეტერბურგის საიმპერატორო თეატრში. მალე ფილიმონი კვლავ ბრუნდება იტალიაში მღეროდა ტურინში, ლეგორნოში, ნეაპოლში, ჯენოვაში, სიცილიის ქალაქ პალერმოში და სხვ. თუ რა წარმატებით მღეროდა ფილიმონ ქორიძე, საკმარისია მოვიყვანოთ ნაწყვეტი გაზეთ „დროების" 1880 წლის 28 მარტის ნომერში ერთ-ერთი იტალიური ჟურნალიდან გადმობეჭდილი წერილისა:

„ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო მოხსენებული ეს ღირსეული არტისტი, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ის ასრულებდა ძნელსა და შესამჩნეველ როლს მეფის ფილიპისას ოპერაში „დონ კარლოს". ჩვენმა ჟურნალებმა და ყველა კორესპონდენტმა ერთხმად აღიარეს ბატონ ქორიძის ნიჭი, ჩინებული მანერები და ბეჯითობა ამ დრამატული და მუსიკალური როლის შესრულების დროს.

ბ-ნი ქორიძე ისეთი არტისტია, რომლის მიზიდვასაც თეატრის მეპატრონეები ახლა, როდესაც ასეთი სიძვირეა კარგი ბოხი ხმის მქონე მომღერლებისა, უნდა ცდილობდნენ. იმას აქვს ხმა მაღალი, დიდებული და ამასთან ძალა დაუტანჯბლად ამწევი მაღალი ნოტებისა. მილანის მცხოვრებლებმა დააფასეს ეს თვისება ბ-ნ ქორიძის ხმისა, როდესაც ამ ერთი წლის წინათ ის მღეროდა „ლა სკალას" თეატრში ოპერაში „აფრიკელი ქალი". ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სადაც უნდა იმღეროს ამ ჩინებულმა არტისტმა, ყველგან მოიწონებენ, როგორც ჩვენში მოსწონთ, და ეს მოწონება თანდათან იმატებს, რაც უნდა მძიმე როლის შესრულება იკისროს იმან ოპერაში".

სამშობლოში დაბრუნებისას ფილიმონს იწვევენ ბანის პარტიების შემსრულებლად თბილისის ოპერის თეატრში.

1883 წელს ფილიმონი თავს ანებებს ოპერის მომღერლობას და იწყებს ხალხში სიმღერა-საგალობლების ჩაწერას. მიხეილ ქორელი მეტად საყურადღებოდ აგვიწერს ფილიმონ ქორიძის მოღვაწეობის იმ პერიოდს, რომელიც ეხება ქართული საგალობლების ჩაწერას და ფილიმონ ქორიძის მიერ დაარსებული მომღერალთა გუნდების მუშაობას.

ფ. ქორიძის სიცოცხლეში მის მიერ ჩაწერილი სიმღერების მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი გამოიცა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაბეჭდა „ბროლის ყელი", „ვაჰ დრონი, დრონი", „ნუ მღერი, ტურფავ", „ინდი-მინდი" და სხვ.

1895 წელს ამავე საზოგადოებამ გამოსცა ფილიმონ ქორიძის „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის". ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი სიმღერა-საგალობლები ძვირფას განძს წარმოადგენს. მართებულად წერს ხვტორი, რომ ფილიმონ ქორიძის მიერ დაგროვილ და ჩაწერილ საგალობლებში „მომავალი და თანამედროვე მუსიკოსები ისეთ არაჩვეულებრივ, მოულოდნელ და ახალ ჰარმონიზაციას, რიტმს და ჰანგებს შეხვდებიან, რასაც სხვა ხალხების მუსიკაში ვერ ნახავენ, და ამ მასალით ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორები თავის შემოქმედებას ახალი ფერებით გაამდიდრებენ".

ფ. ქორიძის შვილმა, მიხეილ ქორელმა, პირველი ქართული პროფესიონალი მომღერლისა და ძვირფას ხალხურ საუნჯეთა შემკრებლის ხსოვნას საყურადღებო ნარკვევი უძღვნა.

ა. ბურთიკაშვილი

აღმოვფხვრათ ხვნა-თესვის პირველ დღეებში შემჩნეული ნაკლოვანებანი

თეთრიწყაროელმა კოლმეურნეებმა შარშან შემოდგომითვე დაიწყეს წლევანდელი უხვი მოსავლის მოსაყვანად მზადება. მათ დროულად შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმა, ოქტომბრიდან დაწყებული დღემდე მინდვრად გაიტანეს 40 ათასი ტონა ნაკელი. კოლმეურნეობათა უმრავლესობა მზად შეხვდა გაზაფხულს და შეუდგა საგაზაფხულო ხვნას, თავთავიანი კულტურების, მზესუმზირას, კარტოფილის თესვას. მოხნულია 800 ჰექტარამდე, გეგმით მოსახნავია 7.000 ჰექტარი.

გაზაფხულის პირველ დღეებში რაიონში დათესილია 300 ჰექტარამდე მზესუმზირა, 50 ჰექტარი კარტოფილი. დაიწყო ბოსტნეულის თესვა და სიმინდის დასათესად ნიადაგის მომზადება. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი წელს მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ახლა საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ეს შეჯიბრება კიდევ უფრო გააძლიერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ". კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან ამ საპროგრამო დოკუმენტს და კისრულობენ ახალ ვალდებულებებს.

გაზაფხულისათვის კარგად მოემზადა სოფელ კოდას ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც თორმეტი წელია ხელმძღვანელობს ი. დალაქიშვილი.

აღნიშნულმა კოლმეურნეობამ საგაზაფხულო კულტურების დასათესად შემოდგომაზე მთელი ფართობი მზრალად მოხნა. 676 ჰექტარი შემოდგომის პურეული აქვთ. მინდვრად გაიტანეს 2.500 ტონა ნაკელი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.800 ტონისა. მარტო შემოდგომის ნათესებში ნაკელი შეტანილია 200 ჰექტარზე. დაიწყეს ჯეჯილების ფარცხვა. 345 კოლმეურნე დილით ადრე გამოდის სამუშაოზე და მუშაობს გვიან საღამომდე.

მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო ხვნა-თესვას ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. ჰელიძე). აქ იარაღ-მანქანები დროულად შეაკეთეს, საწარმოო ბრიგადები და რგოლები დააკომპლექტეს, შეადგინეს საწარმოო გეგმა და გავიდნენ მინდვრად სამუშაოდ.

ასეთი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაზაფხულისათვის მზადებაში ყველგან კარგი მდგომარეობა როდია.

ასურეთის მტს-ის მუშაკები ირწმუნებიან, რომ კარგად მოემზადნენ გაზაფხულისათვის. მაგრამ ფაქტები მეტყველებენ, რომ მტს-ს აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

მტს-მა ტრაქტორების რემონტი დაამთავრა და სატრაქტორო ბრიგადები მინდვრად გავიდნენ, მაგრამ ნაკლიც მუშაობის დაწყებისთანავე გამოვლინდა. სოფელ ბორბალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მერვე სატრაქტორო ბრიგადა მუშაობს (ბრიგადირი შ. ავროზაშვილი). აქ თესვას შეუდგნენ 13 მარტიდან. მაგრამ ტრაქტორი „უნივერსალი" № 32 უხარისხოდ შეკეთებული გამოდგა. ეს ტრაქტორი სისტემატურად ზიანდება, 16 მარტს ნახევარი დღეც არ უმუშავნია.

მტს-ის ეს ბრიგადა მთელი დღე ისე მუშაობდა კოლმეურნეობის ფართობში, რომ კოლმეურნეობის ბრიგადებიდან მეთვალყურეობას არავინ უწევდა. ტრაქტორისტები სურვილისამებრ მუშაობენ ამა თუ იმ ნაკვეთზე. მინდვრად მოწყობილი არ არის საწვავის შესანახი. 16 მარტს კოლმეურნეობის დიდი საგაჯების ფართობში დღის 4 საათზე სათესი მანქანა უპატრონოდ იყო მიტოვებული, ტრაქტორისტი ვ. დალაქიშვილი სხვა ნაკვეთზე გადასულიყო. როგორც გამოირკვა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ტრაქტორისტი თესლითა და წყლით ვერ უზრუნველყვეს.

მტს-ს ჯერ კიდევ არ მიუცია სატრაქტორო ბრიგადებისათვის ხუთდღიური და ყოველდღიური გეგმაგრაფიკი. ამიტომ ბრიგადებში მომუშავეებმა არ იციან, რამდენი უნდა მოხნან, დათესონ ან დაფარცხონ, ბრიგადის გეგმებსაც არ არიან გაცნობილი.

მტს-ი უზრუნველყოფილი არ არის კულტივატორებით, სათესი მანქანებით. სიმინდის სათესი მანქანები სულ არა აქვთ. ზოგან არის ტენდენცია გვერდი აუარონ მექანიზაციას. მაგალითად, სოფელ ქოთიშის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება" შეეცადა ხელით დაეთესა მზესუმზირა. მტს-მა შეაჩერებინა თესვა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5 ჰექტარი მწკრივად დათესა. ზოგგან ტრაქტორისტებს ხელს არ უწყობენ. ბორბალოს კოლმეურნეობაში მათთვის ბინები არა აქვთ, საწვავის შესანახიც არ არის გადახურული.

მშრომელთა დეპუტატების თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას კარგი სპეციალისტები ჰყავს. მაგრამ ისინი ტერიტორიით დიდ რაიონს ვერ სწვდებიან სათანადო ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად. ამას ისიც უშლის ხელს, რომ სოფლის მეურნეობის განყოფილება კადრებით არ არის დაკომპლექტებული. აპარატში შტატით უნდა იყოს 9 აგრონომი უმაღლესი განათლებით, ფაქტიურად ჰყავთ ოთხი, დანარჩენი საშუალო ცოდნის აგროტექნიკოსები არიან. უნდა ჰყავდეთ 5 ზოოტექნიკი უმაღლესი ცოდნით, არის 3. ორი ვეტექიმის ნაცვლად ერთია. უბნებში უმაღლესი ცოდნით 12 ზოოტექნიკოსი უნდა იყოს, არის 3. არა ჰყავთ შტატით გათვალისწინებული მეგემავი ეკონომისტი.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ენერგიული ზომები უნდა მიიღონ საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას და წარმართონ იგი საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისაკენ, 1950 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისაკენ.

ნ. ჯანჯღავა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკური საბჭოს სხდომაზე

20 მარტს შედგა საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც საბჭოს წევრები, ისე საზოგადოება „ტყის მეგობრის" რაიონული და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ სამინისტროების, მეცნიერებათა აკადემიის, ინსტიტუტების პასუხისმგებელი მუშაკები.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ მოხსენება გააკეთა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის" საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გოგუამ.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რაც საზოგადოება „ტყის მეგობრის" მიერ არის გაწეული, ამასთანავე გააკრიტიკა ნაკლოვანებანი საზოგადოების მუშაობაში და დასახა კონკრეტული ამოცანები გამწვანებისა და ტყის მოვლა-პატრონობის დარგში მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ნ. კეცხოველმა ილაპარაკა სამგორის გამწვანების მნიშვნელობაზე, დაასახელა იქ ტყის ნაშთების გაჩეხვის ფაქტები. გარდა ამისა, ამხ. კეცხოველმა ილაპარაკა ხეხილის ისეთი ჯიშების მნიშვნელობაზე, როგორიცაა უნაბი, ფსტა, ნუში, ბროწეული, რომლებსაც განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში შეუძლიათ უხვი მოსავალი მოგვცენ. საჭიროა მეტი რაოდენობით დაირგოს, განსაკუთრებით აფხაზეთსა და აჭარაში ზეთის ხილი.

მახარაძის რაიონში ტყის მოვლის და მწვანე ნარგავების გაშენების საკითხებზე ილაპარაკა საზოგადოება „ტყის მეგობრის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. დ. ჭეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ რაიონში გამოყვანილია და გადასარგავად მზად არის 150 ათასი ძირი სტანდარტული ნერგი. შეგროვებულია ტყის ჯიშთა თესლიც, მოწყობილია სანერგე, სადაც ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მიიღებენ კედრის, კრიპტომერიის, ფოთლოვანი ხეების და სხვათა ნერგს. წელს გასაშენებელ ადგილებზე ორმოების ამოღება მთავრდება.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" ყვარლის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ავაზაშვილმა აღნიშნა, რომ რაიონის მშრომელებმა განსაკუთრებით ბევრი დარგეს მუხა, თეთრი აკაცია, კაკალი, წაბლი. მარტო შარშან გაშენდა 12 ჰექტარი წაბლის ტყე. სულ რაიონში 155 ათას ძირზე მეტი მცენარე გაშენდა, ამასთან მოეწყო 6 ჰექტარამდე სანერგე, სადაც დათესილია მუხა, ნეკერჩხალი, წაბლი და სხვ.

ამხ. მ. ნიშნიანიძემ (სამტრედია) განაცხადა: შარშან სამტრედიის რაიონში, უმთავრესად ქალაქის ზონაში, ნარგავის დიდი ნაწილი გახმა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ყველგან ვერ უზრუნველყვეს „ტყის მეგობრის" პირველადი ორგანიზაციისათვის ტყის ცალკეული ნაკვეთების და ნარგავთა მწკრივების მიჩენა. განსაკუთრებით ბევრი მცენარეები დააზიანა პირუტყვმა.

ტყის გაშენებასა და მოვლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების, სკოლების, პედაგოგების, მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობას. ამ მიზნით შესაფერი ცვლილებები შეტანილია პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში. ამ საკითხებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. კუპრაძემ. მანვე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის საჭიროა თვითეულ სასწავლებელთან შეიქმნას კომისია დირექტორის მეთაურობით, შედგეს მუშაობის გეგმა, გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები პირველ რიგში სკოლების ეზოების გასამწვანებლად, ცოცხალი ღობეებისა და ქარსაფრების გასაშენებლად, სანერგეების მოსაწყობად. წელს თვითეულმა მოწაფემ უნდა დარგოს სულ მცირე 3-5 ძირი ხე და ბუჩქი, ამასთან, რაც მთავარია, შემდგომში კარგი მოვლით უნდა უზრუნველვყოთ ნარგავთა მთლიანი გახარება.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, თქვა დასასრულ ამხ. კუპრაძემ, რომ გამწვანებისათვის, მცენარეთა მოვლისათვის ზრუნვა სეზონური, კამპანიური საქმე როდია. ტყის დაცვის აუცილებლობისათვის ფართოდ უნდა გაიშალოს პროპაგანდა მშობელთა შორისაც.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე საზოგადოება „ტყის მეგობრის" ქ. ქუთაისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დ. ბერუჩაშვილი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი ამხ. მ. ჯაში, „ტყის მეგობრის" აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. გაბრიჩიძე, საზოგადოება „ტყის მეგობრის" გარდაბნის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. მუსტაფა ოღლი.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ წელს საქართველოში თვითეული რაიონის პირობების მიხედვით „ტყის დღე" ჩატარდეს მარტიდან 15 მაისამდე, ერთ-ერთ კვირა დღეს. სასტიკად აკრძალულია არასტანდარტული ნერგების დარგვა. ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის კარგად მომზადებას, სარგავი მასალის დაუზიანებლად ამოღებას, გადაზიდვას და დარგვამდე შენახვას. გზების პირას, სადაც ეს შესაძლებელია, საჭიროა მოეწყოს ნერგის გაშენება 2 და მეტ რიგად. ნარგავთა მოვლა-დაცვის გაუმჯობესების მიზნით, გაშენებული ზოლები უნდა მიემაგროს „ტყის მეგობრის" პირველადს ორგანიზაციებს და დაეკისროს მათ სათანადო პასუხისმგებლობა. საზოგადოება „ტყის მეგობრის" რაიონულ და საქალაქო საბჭოებს დაევალათ აგრეთვე მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე უზრუნველყონ სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" ყველა პირველად ორგანიზაციაში საბჭოების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება და საწევრო გადასახადის დავალიანების დაფარვა.

პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი"

ჰიტლერული გერმანია 1941 წლის 22 ივნისს ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს. საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა დაირღვა. დაიწყო დიდი სამამულო ომი.

სსრ კავშირის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიისა და მის თანამონაწილეთა ომმა საფრთხე შეუქმნა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობას. ამ ომში წყდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლის, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, იმის საკითხი—თავისუფალი უნდა ყოფილიყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნილიყვნენ. ჩვენი ქვეყნის ბრძოლის ველზე წყდებოდა მთელი კაცობრიობის ბედის საკითხი, იმის საკითხი, წაიწევდა კაცობრიობა წინ, პროგრესისაკენ, დემოკრატიისა და სოციალიზმის განმტკიცებისაკენ, თუ საუკუნეებით უკუგდებულ იქნებოდა — საშუალო საუკუნეებისა და მონობის დროისაკენ.

მსოფლიო რეაქციის მთელი შავბნელი ძალები მხარს უჭერდნენ ჰიტლერელ ავაზაკებს. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები, რომლებმაც გამოზარდეს ფაშიზმი და ყოველნაირად წარმართავდნენ ჰიტლერულ აგრესიას აღმოსავლეთისაკენ სსრ კავშირის წინააღმდეგ, განზრახ აჭიანურებდნენ მეორე ფრონტის გახსნას და იმედი ჰქონდათ, რომ გერმანიის წინააღმდეგ ომი შეასუსტებდა ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს.

ბოლშევიკურმა პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა დარაზმეს საბჭოთა ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭოთა არმიამ, რომელსაც მხარს უჭერდა ხალხი, გაანადგურა ჰიტლერელი დამპყრობლები და იაპონელი იმპერიალისტები. საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება. მძიმე ბრძოლაში მან დაიცვა თავისი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნა სოციალისტური წყობილება, განამტკიცა საბჭოთა კავშირის უშიშროება, გადაარჩინა მსოფლიოს ხალხები ფაშისტური დამონების საფრთხეს.

საბჭოთა ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ სამამულო ომში მთელ მსოფლიოს დაანახვა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა, ჩვენი შეიარაღებული ძალების უძლეველობა.

ლენინ-სტალინის პარტია ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო. დიდი სტალინი — ხალხთა ბრძენი ბელადი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი, გენიალური მხედართმთავარი — სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ. სტალინის სამხედრო და ორგანიზატორულმა გენიამ გამარჯვება მოგვიტანა ჰიტლერულ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

თემას „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი" უდიდესი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მსმენელების მიერ ამ თემის შესწავლისას პროპაგანდისტი უნდა დაეხმაროს მათ ღრმად შეითვისონ ომის მიზნები და ხასიათი, მისი განვითარების მსვლელობა, გაიგონ ჩვენი გამარჯვების წყაროები, ბოლშევიკების პარტიის მაორგანიზებელი და აღმაფრთოვანებელი როლი, ამხანაგ სტალინის მხედართმთავრული გენიის სიდიადე, რომელმაც საბჭოთა ხალხი მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე ჰიტლერელ დამპყრობლებზე და იაპონელ იმპერიალისტებზე. თემის მასალების შესწავლა ხელს შეუწყობს მსმენელებში საბჭოთა ეროვნული სიამაყის გრძნობის, კაპიტალისტურ წყობილებაზე, მის შეიარაღებულ ძალებზე, ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, ჩვენი შეიარაღებული ძალების, ჩვენი იდეოლოგიის უპირატესობის ღრმა შეგნების დანერგვას.

* * *

თემა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი" გათვალისწინებულია ოთხი მეცადინეობისათვის (ორ-ორი საათი):

1) ომის პირველი პერიოდი. საბჭოთა კავშირის აქტიური თავდაცვა.

2) ძირეული გარდატეხა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში.

3) ჰიტლერული გერმანიის და იმპერიალისტური იაპონიის განადგურება.

4) საბჭოთა კავშირის გამარჯვების წყაროები.

საუბარს პირველ თავზე პროპაგანდისტი იწყებს ჩვენს ქვეყანაში ომის პირველ პერიოდში შექმნილი ვითარების დახასიათებით.

პროპაგანდისტი აღნიშნავს, თუ რა მიზნებს ისახავდა ჰიტლერული გერმანია, როცა მოულოდნელად და ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, და ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის ომი დაიწყო გერმანელი ჯარებისათვის ხელსაყრელ პირობებში და საბჭოთა ჯარებისათვის არახელსაყრელ პირობებში. იგი პოლიტიკურ რუკაზე უჩვენებს, თუ ევროპის რა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ დროისათვის ფაშისტურ მონობაში, ასახელებს ვასალურ სახელმწიფოებს, რომლებიც გამოდიოდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიასთან კავშირში, ჩამოთვლის ჰიტლერული გერმანიის მთელ რიგ უპირატესობებს ომის პირველ პერიოდში.

საუბარში ძირითადი, მთავარია ამხანაგ სტალინის 1941 წლის 3 ივლისის რადიოთი ისტორიული გამოსვლის შინაარსის გადაცემა. ხალხისადმი თავის 1941 წლის 3 ივლისის მიმართვაში ამხანაგმა სტალინმა ცხადყო დიდი სამამულო ომის სამართლიანი ხასიათი, აღნიშნა მისი მიზნები, ამხილა ზღაპარი ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ, იწინასწარმეტყველა მისი დამარცხების გარდუვალობა, დასახა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების ნათელი პროგრამა, განსაზღვრა საბჭოთა ხალხისა და არმიის ამოცანები ომში.

ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა პარტიას, საბჭოთა ადამიანებს გარდაექმნათ მთელი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი დაემორჩილებინათ ფრონტის ინტერესებისათვის, მტრის განადგურების მოწყობის ამოცანებისათვის, დაეცვათ საბჭოთა მიწის თვითეული მტკაველი, დაეუძლურებინათ მტერი, გაეჩაღებინათ მოწინააღმდეგის ზურგში პარტიზანული ომი.

ამხანაგმა სტალინმა ხალხის წინაშე წამოაყენა ლოზუნგი, რომელიც მოკლედ გამოხატავდა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ახალი ვითარების, დიდი სამამულო ომის ვითარების შესაბამის მთავარ ამოცანებს.

„მთელი ჩვენი ძალები — ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად!

ხალხის მთელი ძალები — მტრის გასანადგურებლად!

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!"

ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვის უდიდესი მნიშვნელობა ის იყო, რომ მან საბჭოთა ხალხი შეაიარაღა ნათელი პერსპექტივით, მტერთან ბრძოლის კონკრეტული პროგრამით, ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენით. ამხანაგ სტალინის მოწოდებამ აღაფრთოვანა საბჭოთა ხალხი, წარმოშვა მასების დიდი პატრიოტული აღმავლობა. ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესრულებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა დიდი სამამულო ომის შედეგზე.

შემდეგ პროპაგანდისტი ლაპარაკობს, თუ როგორ უპასუხა საბჭოთა ხალხმა თავისი ბელადის მოწოდებას, როგორ გადაიქცა ჩვენი ქვეყანა ერთიან საომარ ბანაკად, რომელიც ცხოვრობდა ერთი აზრით — ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტრის განადგურებისათვის, ყველაფერი ჩვენი გამარჯვებისათვის. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე სწრაფი და ძირეული გარდაქმნის წარმატება უზრუნველყოფილი იყო სოციალისტური წყობილების მეოხებით, ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის ნაცადი, ბრძნული და მტკიცე ხელმძღვანელობის მეოხებით.

საჭიროა შეჩერდეთ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართული იყო მტრის გასანადგურებლად.

შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი დიდი სტალინის მეთაურობით. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი აღჭურვილი იყო სახელმწიფოში მთელი ძალაუფლებით. მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს, სათავეში ჩაუდგა უბოროტესი და ვერაგი მტრის—გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლას და ეს ბრძოლა მტერზე სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა.

ასეულ ათასობით კომუნისტი გაიგზავნა საბჭოთა არმიის პოლკებში.

ამხანაგ სტალინის მოწოდებით ფაშისტ დამპყრობთა მიერ ოკუპირებულ რაიონებში შეიქმნა მრავალრიცხოვანი პარტიზანული რაზმები, რომლებიც მრისხანე ძალად გადაიქცნენ, რამაც დიდი დახმარება გაუწია ჩვენს არმიას.

სახალხო მეურნეობა გადაყვანილ იქნა სამხედრო რელსებზე. 1.300-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო ევაკუირებულ იქნა ღრმა ზურგში, სწრაფი ტემპით ჩაღდებოდა ახალი თავდაცვითი საწარმოების მშენებლობა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

საბჭოთა ადამიანების ორგანიზებულობამ და მასობრივმა შრომითმა გმირობამ, ორასოვანთა, ხუთასოვანთა, საფრონტო ბრიგადების „შრომაში, როგორც ბრძოლაში" მოძრაობამ შესაძლებელი გახადა გაგვედიდებინა ფრონტისათვის პროდუქციის გამოშვება.

გააშუქებს რა საბჭოთა ჯარების მოქმედებას, პროპაგანდისტი ახასიათებს აქტიური თავდაცვის სტალინურ ტაქტიკას, რომელსაც ჩვენი არმია ეწეოდა ომის პირველ პერიოდში.

აქტიური თავდაცვით, რომელიც შეხამებული იყო კონტრიერიშებთან და კონტრშეტევასთან უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებებით, საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ წელში გატეხა ფაშისტური არმიის დამკვრელი ძალა და დაასამარა „ელვისებური" ომის გერმანული სტრატეგია. პროპაგანდისტი ლაპარაკობს, თუ რა უმაგალითო სიმამაცით იბრძოდნენ საბჭოთა მეომრები, აღფრთოვანებულნი კეთილშობილური მიზნით — სოციალისტური სამშობლოს დაცვით.

სამუდამოდ შევიდა ისტორიაში ოდესის, სევასტოპოლის, ლენინგრადის დამცველთა სახელოვანი საქმეები.

პროპაგანდისტი ლაპარაკობს მოსკოვში წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს წითელი არმიის პარადზე ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვის დიდი მამობილიზებელი ძალის შესახებ.

ამხანაგ სტალინის სიტყვამ, რომელიც აღსავსე იყო ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ღრმა რწმენით, ყველა საბჭოთა ადამიანი შეაიარაღა გამარჯვების ურყევი რწმენით, გააძლიერა საბჭოთა მეომრების, საბჭოთა პარტიზანების, ზურგის მშრომელების, რომლებიც იარაღს სჭედდნენ მტერზე გამარჯვებისათვის, მორალური სიმტკიცე. ბელადის სიტყვამ გააძლიერა ჰიტლერელ ავაზაკების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა საბრძოლო სულისკვეთება, უმაგალითო აღმავლობა გამოიწვია ჯარებში. „სტალინი ჩვენთან არის. სტალინი ამბობს: ჩვენ გავიმარჯვებთ. მაშასადამე, ასეც იქნება", — ამბობდნენ იმ დღეებში საბჭოთა მეომრები მთელ ხალხთან ერთად.

ომის პირველი პერიოდის გადამწყვეტი მოვლენა იყო მოსკოვთან გერმანელთა განადგურება, რომლის შესახებ საუბრითაც პროპაგანდისტი ამთავრებს პირველი თავის გადაცემას.

ამხანაგ სტალინის ისტორიული გამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ მოსკოვის რაიონში თავმოყრილმა ჯარებმა ამხანაგ სტალინის ბრძანებით, მოულოდნელად, მძლავრი დარტყმები მიაყენეს მტერს. დაიწყო საბჭოთა არმიის კონტრშეტევა.

გერმანელთა არმიები მოსკოვთან განადგურებულ და უკუგდებულ იქნენ დასავლეთით ზოგან 400 კილომეტრზე. ეს იყო გერმანელთა არმიის პირველი დიდი დამარცხება მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან. მოსკოვთან ბრძოლებში გაცამტვერდა ზღაპარი ჰიტლერული არმიის „უძლეველობის" შესახებ, საბოლოოდ ჩაიფუშა „ელვისებური" ომის ავანტიურული ჰიტლერული გეგმები.

მოსკოვთან ბრძოლამ ცხადყო — და ეს მთავარია, — რომ ფაშისტურ არმიას უკვე აღარ ჰქონდა ის დროებითი უპირატესობა, რაც მას მისცა მოულოდნელმა თავდასხმამ. „ახლა, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი 1942 წლის 23 თებერვლის ბრძანებაში, — ომის ბედს გადაწყვეტს არა ისეთი მეორეხარისხოვანი მომენტი, როგორიცაა უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივმოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი".

ამხანაგ სტალინის ეს დასკვნა უძვირფასესი წვლილია მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებაში.

საუბრის დასასრულს პროპაგანდისტმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ მოსკოვთან ბრწყინვალე გამარჯვება გენიალური სტალინური ხელმძღვანელობის შედეგია. ამხანაგმა სტალინმა თავის დროზე გამოიცნო და ჩაფუშა მტრის განზრახვა, სწორად განსაზღვრა მთავარი დარტყმის მიმართულება. იგი პირადად ხელმძღვანელობდა ამ უდიდესი ბრძოლის მთელ მსვლელობას და წარმართავდა ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მოქმედებას.

საუბარში პროპაგანდისტმა უნდა გამოიყენოს ცალკეული ნაწყვეტები ისეთი ნაწარმოებებიდან, როგორიცაა მ. ალიგერის „ზოია", მ. ბუბენოვის „თეთრი არყის ხე", ა. ტვარდოვსკის „ბალადა მოსკოვზე". საჭიროა მსმენელებს ჯგუფურად კოლექტიურად ნახონ ხილაბლა ფილმება „გერმანელთა განადგურება მოსკოვთან", „ზოია".

საუბარი თემის პირველ თავზე შეიძლება გაიშალოს შემდეგი ძირითადი საკითხების გარშემო:

1) როგორია იყო ომის წარმოშობის მიზეზები და ომის ხასიათი?

2) როგორ გარდაიქმნა ჩვენი ქვეყანა საომარ ყაიდაზე?

3) როგორი იყო ომის პირველი პერიოდის თავისებურებანი?

4) როგორია იყო მოსკოვთან გერმანელთა განადგურების ისტორიული მნიშვნელობა?

საუბრის ჩატარებისას პროპაგანდისტი მსმენელთა ყურადღებას მიაქცევს ომის პირველი პერიოდის ძირითად თავისებურებათა შეთვისებას, ხაზგასმით აღნიშნავს ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის აღმაფრთოვანებელ და მაორგანიზებელ როლს.

საუბრის მსვლელობაში პროპაგანდისტმა უნდა გამოიყენოს დედაქალაქის კედლებთან ბრძოლების მონაწილე მსმენელთა მოგონებანი.

* * *

საუბარს მეორე თავზე „ძირეული გარდატეხა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში" პროპაგანდისტი იწყებს ომის პირველი პერიოდის ძირითად თავისებურებათა გახსენებით, როცა საბჭოთა არმია, ასრულებდა რა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებებს, არა მარტო აქტიურ თავდაცვას ეწეოდა, არამედ აუძლურებდა და ანადგურებდა გერმანელთა ცოცხალ ძალასა და ტექნიკას და გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა მტერს მოსკოვთან, ლენინგრადთან, ტიხვინთან, როსტოვთან, რამაც გააცამტვერა ზღაპარი ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ. შემდეგ პროპაგანდისტი გადადის ომის მეორე პერიოდის დახასიათებაზე.

ამ პერიოდის გადამწყვეტი მოვლენა, მისი გამოსავალი პუნქტი იყო სტალინგრადის ცნობილი ბრძოლა. პროპაგანდისტი ახასიათებს მძიმე საომარ ვითარებას, რომელიც 1942 წლის ზაფხულში შეიქმნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ინგლისელ-ამერიკელმა მოკავშირეებმა, რომლებიც ერთგულნი იყვნენ საბჭოთა კავშირის დასუსტების თავიანთი იმპერიალისტური პოლიტიკისა, არ შეასრულეს დაპირება ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. ამან შესაძლებლობა მისცა ჰიტლერელთა სარდლობას მნიშვნელოვნად გაედიდებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოქმედი ძალები და ამით დროებით შეეცვალა ძალთა თანაფარდობა თავის სასარგებლოდ. 1942 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიის წინააღმდეგ იყო ფაშისტური გერმანიის მთელი ძალების 70 პროცენტი, მაშინ როცა ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ მოქმედებდა გერმანელთა ჯარების მხოლოდ 1.5 პროცენტი, ხოლო ოკუპირებულ საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში იყო სულ დაახლოებით 13 პროცენტი.

256 დივიზიიდან, რომლებიც გერმანელებს ჰყავდათ 1942 წლის სექტემბერში, 179 დივიზია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იმყოფებოდა. აქვე იყო გადმოყვანილი ჰიტლერული გერმანიის სატელიტი სახელმწიფოების 61 დივიზია. მაგრამ ჰიტლერელებმა ვეღარ შეძლეს მოეწყოთ შეტევა მთელ ფრონტზე, და მთავარ ძალებს თავი მოუყარეს მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, შექმნეს რა აქ მნიშვნელოვანი სიჭარბე, და გადავიდნენ შეტევაზე.

გერმანელები ცდილობდნენ შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს მათი ზაფხულის შეტევის

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

სანდრო პერტინის სტატია საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

რომი, 20 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ავანტიმ" გამოაქვეყნა სანდრო პერტინის სტატია სათაურით „სსრ კავშირიდან დაბრუნება".

„როცა უშუალო კონტაქტს ამყარებ საბჭოთა ხალხთან, მის გიგანტურ მიღწევებთან, — წერს ავტორი, — როცა ხედავ მის ძლიერ მისწრაფებას — აშენოს და იბრძოლოს, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მაშინვე გრძნობ, რომ ახალ სამყაროში ხარ. ეს არის სამყარო, რომელიც 1917 წლის ოქტომბრიდან განუხრელად მიდის წინ, როგორც კაცობრიობის ბედი. დღეს მილიონობით ადამიანი კი არ ოცნებობს სოციალიზმზე, არამედ ცხოვრობს სოციალიზმის პირობებში, რომელიც მისთვის ყოველდღიური სინამდვილეა".

„საბჭოთა კავშირში, — აღნიშნავს პერტინი, — მუშა და გლეხი გრძნობენ, რომ რაც უნდა მცირედი იყოს მათი შრომა, იგი საჭირო და სასარგებლოა საზოგადოებისათვის, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და, მაშასადამე, იგი სასარგებლოა თვით მათთვისაც. ამიტომ ისინი გრძნობენ, რომ საბოლოო ანგარიშით თავისთვის მუშაობენ, ვინაიდან სოციალისტურ სახელმწიფოში იმყოფებიან... საბჭოთა ხალხი დარაზმულია, მას არ ჰყავს ჯიუტი წინააღმდეგობანი. იგი აკეთებს საერთო საქმეს, ესწრაფვის ერთ მიზანს. ამიტომ იმპერიალისტთა მილიტარისტულ სიგიჟეს უპირდაპირდება სტალინისა და მისი ხალხის გარკვეულობა და სიმტკიცე. საბჭოთა ხალხმა და მისმა ბელადმა პასუხი არ გასცეს არც ერთ გიჟურ პროვოკაციას, და მხოლოდ ამიტომ გადარჩა მშვიდობა. საბჭოთა ხალხს მშვიდობა სურს... აი ამიტომ დღეს საბჭოთა კავშირის გარშემო, სოციალიზმის ქვეყნის გარშემო ერთიანდებიან მრავალი ქვეყნის ხალხები — ჩინეთიდან ჩეხოსლოვაკიამდე, აგრეთვე მილიონობით სხვა მშრომელნი, რომლებიც გაბნეული არიან მთელ დანარჩენ სამყაროში და კიდევ იჩაგრებიან რეაქციის ძალების მიერ. ასეთია ის მტკიცე ზღუდე, რომელსაც შეემსხვრევიან ომის ძალები. აი რატომ შევყურებთ ახალი იმედით წითელ ვარსკვლავებს, რომლებიც კრემლში ბრწყინავენ. ისინი ჩვენთვისაც ანათებენ".

განცხადება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის დელეგატებისა, რომლებმაც მოსკოვი ინახულეს

სტოკჰოლმი, 18 მარტი. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სესიის მონაწილეებმა ჯონ როგემ (ამერიკის შეერთებული შტატები) და ჯონ პლეტს-მილსმა (ინგლისი) გაზეთ „ნიუ დაგში" გამოაქვეყნეს თავიანთი შთაბეჭდილებანი მოსკოვში ყოფნის შესახებ, სადაც მათ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გადასცეს მუდმივი კომიტეტის მიმართვა.

„მოსკოვში, — განაცხადა როგემ, — ჩვენ ყოველმხრივ საუცხოოდ მიგვიღეს. მე დავრწმუნდი, რომ რუს ხალხს მშვიდობა სურს, რათა განაგრძოს თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და რომ იგი მხარს უჭერს თავის მთავრობას".

როგორც როგემ ხაზგასმით აღნიშნა, სტალინის სახელობის ავტოქარხანაში იგი განსაკუთრებით გააოცა იმან, რომ ქარხანაში მომუშავე ქალები მამაკაცების თანაბარ ხელფასს იღებენ თანაბარი შრომისათვის.

„მე მიმაჩნია, — განაცხადა დასასრულ როგემ, — რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შეუძლიათ მშვიდობიანად იმუშაონ — ერთმანეთის მხარდამხარ".

ჯონ პლეტს-მილსმა განაცხადა:

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მივიღებთ საბჭოთა კავშირის დადებით და გულწრფელ პასუხს ჩვენს წინადადებაზე. ოდნავ დაეჭვებაც არ შეიძლება იმაში, რომ საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მთავრობას მშვიდობა სურთ. საბჭოთა კავშირში მე წინათაც ვყოფილვარ. ამ ქვეყანაში მოპოვებული უდიდესი წარმატებანი აშკარაა".

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მესამე სესიის რეზოლუცია მშვიდობის საერთაშორისო პრემიების შესახებ

სტოკჰოლმი, 20 მარტი. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მესამე სესიამ გუშინ მიიღო რეზოლუცია მშვიდობის საერთაშორისო პრემიების დაარსების შესახებ.

რეზოლუციის ტექსტში ნათქვამია:

„სათანადო დადგენილებათა თანახმად, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივმა კომიტეტმა აირჩია მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მიმნიჭებელი ჟიური. ამ ჟიურის შემადგენლობაში არიან პიეტრო ნენი (იტალია) — თავმჯდომარე, ქალბატონი კოტონი (საფრანგეთი) — თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ბერნალი (ინგლისი) — თავმჯდომარის მოადგილე, ბორისარი (ბრაზილია) — მდივანი, გო მო-ჟო (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), როკუელ კენტი (ამერიკის შეერთებული შტატები), ვანდა ვასილევსკაია (სსრ კავშირი), მუკაჟოვსკი (ჩეხოსლოვაკია), მარიკა შერნსტედტი (შვეცია), ანტუან ტაბეტი (ლიბანი), გაბრიელ დ'არბუსიე (საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა)".

ვიეტნამის სახალხო-განმათავისუფლებელი ძალების მოქმედება

შანხაი, 19 მარტი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის ინფორმაციის სააგენტო იუწყება, ცენტრალური უბნის ჯარების შტაბის მიერ გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად 1949 წლის ივლისიდან 1950 წლის თებერვლამდე ამ უბანზე მწყობრიდან გამოყვანილია საფრანგეთისა და დამხმარე ჯარების 7.000 ჯარისკაცი და მოსპობილია ფრანგების 16 საგუშაგო.

ვიეტნამის ჯარებმა მოსპეს ფრანგების 5 თვითმფრინავი, 22 სატვირთო მანქანა, 2 ტანკი, რკინიგზის შემადგენლობა, 16 კატერი და დიდძალი საჭურველი და საომარი მასალა.

იმ საომარ საჭურველში, რაც ხელთ იგდო ვიეტნამის არმიამ, არის 200 ტყვიამფრქვევი, 6 მორტირი, 300 შაშხანა და 350 ათასი ვაზნა.

როგორც ვიეტნამის ინფორმაციის სააგენტო გადმოგვცემს, ხანოიდან მიღებული ცნობით, 1 მარტს ვიეტნამელი პარტიზანები თავს დაესხნენ ქ. ტუიოს, ხანოის ჩრდილოეთით. 4 მარტს ვიეტნამელი პარტიზანები შეიჭრნენ ლანეშანის ჰოსპიტლის განლაგების რაიონში, სადაც ააფეთქეს საომარ მასალათა დიდი საწყობი. მიმდინარე წლის დამდეგიდან ეს ვიეტნამელ პარტიზანთა უკვე მეოთხე იერიშია ფრანგების სამხედრო ნაგებობებზე ხანოიში.

პირველი ორი იერიშის შედეგად მოსპობილ იქნა 25 თვითმფრინავი ხანოის სამხრეთით მდებარე აეროდრომზე და 22 ელექტროტრანსფორმატორი თვით ქალაქში.

პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 20 მარტი. (საკდესი). დღეს შემდგარ სხდომაზე პოლონეთის სეიმმა ერთხმად მიიღო კანონი ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შესახებ. ამ კანონის თანახმად მთელი ძალაუფლება ადგილებზე გადაეცემა რადა ნაროდოვებს. ერთხმად მიღებულია აგრეთვე კანონი საეკლესიო და სამონასტრო მიწების სახელმწიფოსათვის გადაცემის და საეკლესიო ფონდის შექმნის შესახებ.

გომინდანელთა თვითმფრინავების ახალი ავაზაკური თავდასხმა შანხაიზე

შანხაი, 20 მარტი. (საკდესი). დღეს დილის 8 საათზე გომინდანელთა ამერიკულმა თვითმფრინავებმა ახალი ავაზაკური თავდასხმა მოახდინეს შანხაიზე და ბომბები ჩამოყარეს.

საიგონის ამბები

ნიუ-იორკი, 20 მარტი. (საკდესი). ამერიკული პრესა გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს საიგონში გუშინ გამართული ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციის შესახებ.

დემონსტრაციის ადგილისაკენ საფრანგეთის პოლიციის სარდლობამ გაგზავნა ჯავშნოსნები და პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

ფრანგების პოლიციამ დემონსტრანტებს სროლა აუტეხა, მათ წინააღმდეგ იხმარა ცრემლსადენი გაზები და დემონსტრანტები ქალაქის ბაზრის რაიონში შერეკა. დემონსტრანტებმა გადააბრუნეს 15 ავტობუსი და სატვირთო მანქანა, მათგან გააკეთეს ბარიკადები და 4 საათის განმავლობაში იგერიებდნენ პოლიციის შეტევას. პოლიციამ ბარიკადებს ცეცხლი წაუკიდა. გავრცელებულმა ხანძარმა მოსპო ქალაქის ბაზრის შენობები. პოლიციის მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტებისათვის მხეცურად ანგარიშის გასწორების შედეგად დაიჭრა 80 კაცი. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, დაჭრილია აგრეთვე 18 პოლიციელი.

საპროტესტო გაფიცვები ბელგიის წინანდელი მეფის ტახტზე დაბრუნების წინააღმდეგ

ბრიუსელი, 20 მარტი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ფლანდრიის მშრომელებმა გამოაცხადეს გამაფრთხილებელი გაფიცვები ტახტზე წინანდელი მეფის ლეოპოლდის შესაძლო დაბრუნების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მიუხედავად პოლიციის ტერორისა, გაფიცვები დაიწყო გენტსა და მის მიდამოებში: გაფიცული არიან საფეიქრო მრეწველობის 15 საწარმოს მუშები, მეტალურგები, ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშები და სხვ.

პარიზი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ბრიუსელიდან გადმოგვცემს, გაზეთი „პეპლი" იუწყება, რომ ანტვერპენის დოკერთა 24 საათის გაფიცვის შედეგად შეწყდა მთელი მუშაობა. ნავსადგურში მყოფი 128 გემის გადმოსატვირთავად და დასატვირთავად.

გაფიცვა გავრცელდა ბრიუსელის სამრეწველო რაიონზე და მეტალურგიულ საწარმოებს მოედო. მუშაობა შეწყვიტა ათასობით მშრომელმა.

იტალიელი ხალხი აღშფოთებულია იტალიის მთავრობის მკაცრი გადაწყვეტილებებით

რომი, 20 მარტი. (საკდესი). რომში მოსული ცნობებით, ჩრდილოეთ იტალიის სამრეწველო ცენტრებს დღევანდელი დილიდან მოედო მშრომელთა მასების მძლავრი საპროტესტო მოძრაობა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის" საგანგებო ღონისძიებათა შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

გენუაში დღეს დილით გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც ათეულ ათასობით მშრომელი მონაწილეობდა. საწარმოებში, ნავსადგურში, საქალაქო ტრანსპორტში მუშაობა შეწყვიტეს. ტრამვაის ვაგონებს, რომლებზეც გაკრულია სასტიკ ღონისძიებათა წინააღმდეგ პროტესტის გამომხატველი პლაკატები, დემონსტრანტები ქალაქის ცენტრში მიჰყავს.

მილანში მშრომელებმა სტიქიურად შეწყვიტეს მუშაობა. მუშები იკრიბებიან ცენტრში შრომის პალატის შენობასთან, სადაც გრძელდება შრომის პალატის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. ქალაქის მთავარ მაგისტრალებზე, რომლებიც გაჭედილია დემონსტრანტებით, საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა.

ბოლონიაში ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა აგრეთვე შეწყვიტეს მუშაობა და ქალაქის ცენტრში დემონსტრაცია გამართეს. საქალაქო ტრანსპორტი არ მუშაობს. მშრომელები ელოდებიან შრომის პალატის აღმასრულებელი კომიტეტისა და სოციალისტური და კომუნისტური პარტიების შემთანხმებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს. ხელისუფალნი ბოლონიაში პოლიციის ძალებს უყრიან თავს.

ანსას სააგენტოებმა და გაზეთებმა ცნობები საპროტესტო გაფიცვების, მიტინგებისა და დემონსტრაციების შესახებ მიიღეს აგრეთვე ტურინიდან, ფლორენციიდან, ტერნიდან და პესკარიდან. გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ფლორენციისა და ბოლონიის ჩრდილოეთით რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობა ჩერდება და ფერხდება.

მოწვეულია იტალიის მთავარი ქალაქების შრომის პალატების აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც მოელიან იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სამდივნოს გადაწყვეტილებებს. სამდივნოს სხდომები აქვს რომში.

იტალიის სოციალისტური პარტიისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური შემთანხმებელი კომიტეტის მოწოდება

რომი, 19 მარტი. (საკდესი). სოციალისტური პარტიისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა შემთანხმებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც მთავრობის გადაწყვეტილებას ახასიათებს როგორც „კონსტიტუციის მეტად აღმაშფოთებელ დარღვევას, რაც მიმართულია იქითკენ, რომ მოსპონ ინდივიდუალური თავისუფლებანი და კრების, სიტყვისა და პროპაგანდის თავისუფლება, რომელიც იტალიელმა ხალხმა ფაშიზმისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოიპოვა".

ქრისტიან დემოკრატთა მთავრობა, — ნათქვამია კომუნიკეში, — „ამ პროვოკაციების მთავარი დამნაშავე და თანამონაწილეა, რომლებსაც ეგრეთწოდებული „იტალიის სოციალური მოძრაობის" წევრი ფაშისტები აწყობენ. რომში 1947 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროიდან (მუნიციპალური არჩევნები. — რედ.) შინაგან საქმეთა სამინისტრო და პოლიცია აქეზებდნენ ფაშისტური ძალების რეორგანიზაციას და ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს მუშების წინააღმდეგ, დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების წინააღმდეგ პოლიციის ღონისძიებათა საბაბად.

შემთანხმებელი კომიტეტი აცხადებს, რომ სოციალისტები, კომუნისტები, მშრომელები და ყველა გულწრფელი დემოკრატი სრულიადაც არ აპირებენ ანგარიში გაუწიონ თვითნებობის ამ უკანონო ღონისძიებებს და წინანდებურადვე განახორციელებენ თავიანთ კონსტიტუციურ უფლებებს. დაე ქარხნებში, ქალაქებსა და სოფლებში, ყველგან, სადაც ხალხის თავისუფლებას საფრთხე მოევლინება, დაიწყოს მასების პროტესტი და აქტიური ბრძოლა რესპუბლიკური კონსტიტუციის დასაცავად! დაე განმტკიცდეს ყველა იტალიელთა დემოკრატიული ანტიფაშისტური ერთიანობა იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველგვარ ცდას — დააბრუნონ იტალია ფაშიზმის დიქტატურისა და ომის გზაზე!"

ვილე პესი ფინეთის ახალი მთავრობის შესახებ

ჰელსინკი, 19 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ტიუეკანსან სანომატმა" გამოაქვეყნა ფინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ვილე პესის პასუხი დემოკრატიული პრეს-ბიუროს კორესპონდენტის კითხვებზე.

კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რატომ ჩაიშალა ფართო დემოკრატიულ ბაზაზე მთავრობის ჩამოყალიბების ცდა, პესმა უპასუხა:

ასეთი მთავრობის ჩამოყალიბების სერიოზული ცდა არა ყოფილა. რეაქცია ჩვენს ქვეყანაში წინანდებურად უგდებს ყურს „ამერიკის ხმას", რომელიც ამტკიცებს, რომ ევროპის ქვეყნების მთავრობებში კომუნისტების მონაწილეობა თავიდან უნდა იქნას აცილებული. ომის ამერიკელი გამჩაღებლები ისწრაფვიან ევროპის ქვეყნების მხოლოდ ისეთი მთავრობების შექმნისაკენ, რომლებიც მზად არიან თავიანთი საკუთარი ხალხის ინტერესები მსხვერპლად შესწირონ მესამე მსოფლიო ომის გამჩაღებელთა ინტერესებს. მაშასადამე, ფინეთის მთავრობის შემადგენლობა წინასწარ იყო გადაწყვეტილი: ამ მთავრობაში არ უნდა ყოფილიყვნენ კომუნისტები, ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობისა და მშვიდობის დამცველები.

კითხვა: კი, მაგრამ, გაზეთების ცნობების თანახმად, ხომ ცდილობდა დოქტორი კეკონენი ჩამოეყალიბებინა მთავრობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ კომუნისტებიც?

პასუხი: დიახ, დოქტორმა კეკონენმა იკითხა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრი ასეთი მთავრობის შესახებ, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ წინააღმდეგობა გაუწია ასეთ გადაწყვეტილებას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციამ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ისეთ მთავრობაში, რომელშიც მონაწილეობენ სახალხო დემოკრატები, და ამრიგად მომზადდა ბურჟუაზიული მთავრობის შექმნა.

გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრაატი" 17 მარტს წერდა, რომ თუ ბურჟუაზიული მთავრობა ჩამოყალიბდა, სოციალ-დემოკრატები ნაწყენი არ იქნებიან. როგორც ცნობილია, აგრარულ კავშირს აგრეთვე სურდა ბურჟუაზიული მთავრობის ჩამოყალიბება, ხოლო კოალიციურმა პარტიამ ბურჟუაზიული მთავრობის საქმიანობის პროგრამაც კი დასახა.

„უუსი სუომიმ" აღნიშნა, რომ ფინეთის ეკონომიკა ფაგერჰოლმის მთავრობის დროს თითქმის ქაოსურ მდგომარეობაში იყო, და ახალ მთავრობას ურჩია განაგრძოს მშრომელთა საარსებო პირობების გაუარესება მსხვილი კაპიტალის სასარგებლოდ. ბუნებრივია, რომ კოალიციური პარტიის ლაქიები — მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები საჭიროდ არ თვლიან შეუხდნენ, როცა ესმით ისეთი გეგმები, რომელთა განხორციელება ნიშნავს ფაგერჰოლმის ხაზის განგრძობასა და გაძლიერებას. ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა ამის შემდეგ პირდაპირ დაავალა დოქტორ კეკონენს ჩამოეყალიბებინა ბურჟუაზიული მთავრობა, ამტკიცებს, რომ იმათაც ვერ არ სურდათ დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება.

ხორციელდება ის, რაც ჩვენმა პარტიამ უკვე 1948 წელს აღნიშნა, სახელდობრ, რომ ფაგერჰოლმის მთავრობის ამოცანა იყო გამხდარიყო დროებითი ხიდი მთავრობის დემოკრატიული მიმართულებიდან ბურჟუაზიულ რეაქციულ მთავრობისაკენ. აქ უკვე წინასწარ ცნობილია, რომ ასეთი მთავრობის ამოცანა იქნება ფაგერჰოლმის ხაზის განგრძობა, რაც მოასწავებს ფინეთის ეკონომიურ სიძნელეთა გაძლიერებას, საშინაო პოლიტიკაში ბურჟუაზიის დიქტატურის განხორციელებას.

არა მგონია, რომ ახალმა მთავრობამ გააუმჯობესოს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა; იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის უფრო მაგრად მიბმას ინგლის-ამერიკის ბლოკზე. ამიტომ ფინეთის კომუნისტურ პარტიასა და ფინელი ხალხის დემოკრატიულ კავშირს მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ დარაზმონ მუშები, წვრილი მიწათმოქმედები, დემოკრატიისა და მშვიდობის ყველა მომხრენი ფინეთში ანტიპატრიოტული, პროამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჭადრაკი

საქართველოს [illegible] პირველობა

20 მარტს [illegible] კრიხელი და კირკიტაძე ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ.

მთავარ ყურადღებას იპყრობდა ტურნირის ლიდერების საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატების ალექსანდრე ბლაღიძისა და ნიკოლოზ სოროკინის პარტია. ეს პარტია მე-40 სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

შიშოვის წინააღმდეგ იაწკირველმა შავებით აირჩია ფრანგული დასაწყისის ნიმცოვიჩის ვარიანტი, რომელიც შავებს აძლევს შევიწროებულ, მაგრამ შეუპოვარი ბრძოლის საშუალებას. რთული ბრძოლის შემდეგ ოსტატობის კანდიდატმა შიშოვმა მოიგო პაიკი, მერმე ხარისხიც და გაიმარჯვა.

ქარსელაძე და გერშკოვიჩი 23-ე სვლაზე თითქმის უბრძოლველად ყაიმზე შეთანხმდნენ. არზუმანიანმა ადვილად მოუგო მორჩილაძეს. ტიმოფეევმა ფრუიძის წინააღმდეგ ეგრეთწოდებული კოლეს დასაწყისი აირჩია, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია, შუა თამაშში კიდეც გაიუარესა პოზიცია და წააგო პარტია. მეხუთე ტურში ერთ-ერთი საუკეთესო პარტია მოგვცა ალამილიანმა, რომელმაც 24 სვლაში დაამარცხა არშტეინი.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეხუთე ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერები არიან ბლაღიძე, ალამილიანი, შიშოვი და სოროკინი, რომელთაც აქვთ ოთხ-ოთხი ქულა.

ი. კოზლოვსკი გორში

20 მარტს სტალინური პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. კოზლოვსკის მონაწილეობით ქალაქ გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი საშეფო კონცერტი. კონცერტზე ი. კოზლოვსკიმ დიდი წარმატებით შეასრულა ნაწყვეტები პ. ჩაიკოვსკის ოპერიდან „ევგენი ონეგინი", ხალხური სიმღერები და რომანსები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტებმა — სტალინური პრემიის ლაურეატმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. ამირანაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. ხარაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ბ. კრავეიშვილმა და ვ. შაპოშნიკოვმა, ბალეტის სოლისტებმა—ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის კონკურსის ლაურეატებმა ქ. ლოლაძემ და გ. პატარაიამ, კონცერტმაისტერმა ი. გორდონმა.

კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. მაყურებლებმა აღფრთოვანებული ოვაცია გაუმართეს ი. კოზლოვსკის და კონცერტის დანარჩენ მონაწილეთ.

თეატრებში

22 მარტს: ოპერისა და ბალეტის — „კარმენი" (მე-7 აბ. მე-10 სპექტაკლი, დონატ დონატოვის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „ამერიკის ხმა" (მე-5 აბ. მე-8 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „რომეო და ჯულიეტა" (დღისით), „ხარატაშვილი ქვრივი" (საღამოს); **სომხური დრამის** — „კიდევ ერთი მსხვერპლი"; **გრიბოედოვის სახელობის**— „ტანია" (დღისით), „ფარული ომი" (საღამოთი, მე-3 აბ. მე-3 სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „ნათელა"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გაქვავებული ქალაქი" (მე-17 აბ., 12 ს.), „ორი კაპიტანი" (43-ე აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ფინისტი" (88-ე აბ. 10 ს., 78-ე აბ. 1 ს.), „სიმწიფის მოწმობა" (104-ე აბ 7 ს.); **თოჯინების ქართული** — „სვანეთის მთებში" (11 ს.), „ბლიდინის ჯადოსნური ლამპარი" (2 ს.), „ნანა ტყეში" (4 ს.); **თოჯინების რუსული** — „მურია და ტუზია" (11, 1, 3 ს.).

23 მარტს: ოპერისა და ბალეტის — ქორეოგრაფიული სტუდიის კონცერტ-სპექტაკლი (დღისით), „ფაუსტი" და „ვალპურგის ღამე" (მე-10 აბ. მე-10 სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ნაპერწკლიდან" (პირველი აბ. მე-8 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის**— „მოძღვარი"; **გრიბოედოვის სახელობის** — „მოსკოვური ხასიათი" (დღისით), „მოსკოვური ხასიათი" (საღამოს, მე-5 აბ. მე-3 სპექტაკლი); **სომხური დრამის** — „ნამუსი"; **მუსიკალური კომედიის** — „თბილისის ცის ქვეშ".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი"

(გაგრძელება)

მთავარი მიზანი იყო ბაქოსა და გროზნოს ნავთის ხელში ჩაგდება. მაგრამ ამხანაგმა სტალინმა დროზე გამოიცნო მტრის გეგმები. სინამდვილეში გერმანელთა მთავარი მიზანი ის იყო, აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, რომ შემოევლოთ მოსკოვისათვის აღმოსავლეთიდან, მოეჭრათ იგი ვოლგისა და ურალის ზურგისაგან, შემდეგ დაერტყათ მოსკოვისათვის და დაემთავრებინათ ომი 1942 წელს. ამით სტალინგრადისთვის ბრძოლამ უდიდესი მნიშვნელობა მიიღო.

გენიალურად განსაზღვრა რა მოწინააღმდეგის მთავარი დარტყმის მიმართულება, ამხანაგმა სტალინმა აქტიური თავდაცვით შებოჭა გერმანელთა ძალები სტალინგრადის მიმართულებით და შექმნა ხელსაყრელი ვითარება მტრისათვის გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. 19 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა ჯარების გენერალური კონტრშეტევა, რასაც მოჰყვა მოწინააღმდეგის 300 ათასიანი ჯგუფის გარშემორტყმა, დატყვევება და მოსპობა.

სტალინგრადის ბრძოლამ გვიჩვენა სოციალიზმის არმიის მეომართა ურყევი სიმტკიცის ნიმუში და მაგალითი. სიტყვა „სტალინგრადი" გახდა საბჭოთა ხალხის მამაცობისა და გმირობის სიმბოლო. სტალინგრადთან გამარჯვებამ მგზნებარე გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების გულში და აღაფრთოვანა ისინი ფაშისტური მონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის ღონისძიებათა მეოხებით სტალინგრადთან გამარჯვებამ დასაბამი მისცა ძირეულ გარდატეხას სამამულო ომის მსვლელობაში. „სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ველარ შეძლეს წელში გამართულიყვნენ" (ი. სტალინი, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", მე-6 გამოც. 1950 წ. გვ. 119).

სასწავლო მასალის უკეთ შეთვისების მიზნით რეკომენდებულია მსმენელებმა კოლექტიურად ნახონ ფილმი „სტალინგრადის ბრძოლა", აგრეთვე წაიკითხონ კ. სიმონოვის „დღეები და ღამეები", ვ. ნეკრასოვის „სტალინგრადის სანგრებში".

ამის შემდეგ პროპაგანდისტი სარგებლობს რუკით და ლაპარაკობს ამ პერიოდის მეორე უდიდესი ბრძოლის — კურსკთან ბრძოლის მნიშვნელობაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, ლიკვიდაცია უყო რა ექვს დღეში გერმანელთა შემოტევას, საბჭოთა არმია თვითონ გადავიდა გადამწყვეტ კონტრშეტევაზე 2.000 კილომეტრ ფრონტზე 500 კილომეტრამდე სიღრმეზე. კურსკთან ჰიტლერული არმიის დამარცხებამ საბოლოოდ ჩაშალა გერმანელთა ავანტიურისტული სტრატეგია. კურსკთან გერმანელთა განადგურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ომის შემდგომი მსვლელობისათვის. „თუ სტალინგრადთან ბრძოლა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა". („საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", გვ. 120).

ამავე პერიოდში საბჭოთა არმიამ წარმატებით გაარღვია გერმანელთა თავდაცვა ლენინგრადთან, მოიგო ბრძოლა დნეპრისათვის. 1943 წლის 6 ნოემბერს განთავისუფლებულ იქნა უკრაინის სსრ დედაქალაქი კიევი, საბჭოთა ჯარებმა გაწმინდეს დნეპრის მარცხენა ნაპირი ხერსონამდე.

აქვე უნდა ითქვას საბჭოთა პარტიზანების მოქმედების აქტივიზაციაზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს საბჭოთა არმიას.

ასეთია მთავარი მოვლენები, რომლებიც ახასიათებენ ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხის წელს. ამ მოვლენებს საფუძვლად ედო მეომარი მხარეების თანაფარდობის ძირეული შეცვლა — საბჭოთა კავშირის ძალების, მისი არმიის შემდგომი ზრდა და ახალი რეზერვების შექმნა, და, პირიქით, ფაშისტური გერმანიის ძალებისა და მისი არმიის მკვეთრი შესუსტება, ჰიტლერელთა რეზერვების გამოფიტვა.

შეაჯამა რა ამ წლის შედეგები, ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისთავი" თქვა, რომ „ომი იმ სტადიაში შევიდა, როცა საქმე ეხება საბჭოთა მიწა-წყლიდან ოკუპანტების სრულ განდევნას და ევროპაში ფაშისტური „ახალი წესრიგის" ლიკვიდაციას".

შემდეგ პროპაგანდისტი განმარტავს, რომ 1943 წელი იყო არა მარტო ძირეული გარდატეხის წელი სამხედრო მოქმედების მსვლელობაში, არამედ გარდატეხის წელიც საბჭოთა ზურგის მუშაობაში. საბჭოთა სახელმწიფოს, რომელმაც წარმატებით გადაიტანა საწარმოები სამხედრო მოქმედების ზონიდან ჩვენი ქვეყნის შიგნით, ამ დროისათვის უკვე ჰქონდა მოწესრიგებული და სწრაფად მზარდი სამხედრო მეურნეობა და შეეძლო მთელი ყურადღება მიექცია წარმოების გადიდებისა და შეიარაღების, განსაკუთრებით ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების, თვითმავალი არტილერიის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ დროისათვის ლიკვიდირებული იყო მტრის წინანდელი უპირატესობა ტანკებისა და თვითმფრინავების რაოდენობის მხრივ.

პროპაგანდისტმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ საბჭოთა ზურგის მუშაობაში გარდატეხას საფუძვლად ედო საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა, რაც, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, ისტორიაში შევა წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დაცვაში.

საუბრის დასასრულს პროპაგანდისტს მოჰყავს ამხანაგ სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „...საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისა, არამედ საუკეთესო ფორმაც ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა" (ი. სტალინი, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", გვ. 126).

ამ თავზე საუბარი შეიძლება მოეწყოს შემდეგი გეგმით:

1. რატომ უწოდა ამხანაგმა სტალინმა 1943 წელს ძირეული გარდატეხის წელი? რით გამოიხატა ეს გარდატეხა სამხედრო მოქმედების მსვლელობაში და რით იყო იგი გამოწვეული?

2. როგორ მომზადდა და განხორციელდა გერმანელთა განადგურება სტალინგრადთან და როგორია ამ ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა?

3. რით გამოიხატა საბჭოთა ზურგის მუშაობაში გარდატეხა?

4. კურსკთან ბრძოლა და მისი მნიშვნელობა.

5. რა გავლენა მოახდინეს საბჭოთა კავშირის 1943 წლის გამარჯვებებმა მთელი მსოფლიო ომის მსვლელობაზე?

* * *

ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების შესახებ საუბარში პროპაგანდისტი უნდა შეჩერდეს შემდეგ ძირითად მომენტებზე.

ახორციელებდნენ რა ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანას — მთლიანად გაეთავისუფლებინათ სამშობლო გერმანელი ოკუპანტებისაგან და საბოლოოდ გაენადგურებინათ ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირეები, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა 1944 წელს მტერს მიაყენეს ათი გამანადგურებელი სტალინური დარტყმა. საჭიროა ამ დარტყმების მიმართულებების ჩვენება რუკაზე.

საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა მთელი ჩვენი ქვეყანა, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ომიდან გამოყვანილ იქნენ ფაშისტური გერმანიის მხარეზე მეომარი რუმინეთი, ბულგარეთი, ფინეთი.

საბჭოთა ჯარების უდიდესი წარმატებანი 1944 წელს განპირობებული იყო საბჭოთა არმიის მებრძოლების, ოფიცრებისა და გენერლების საბრძოლო ოსტატობის და გაწვრთნილობის ზრდით, საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის გამარჯვებით ფაშისტური გერმანიის ეკონომიკაზე საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის შედეგად.

პ. ორლოვი

(დასასრული იქნება)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 4 აპრილს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას:

1. **ფელიციტატა ვიქტორის ასული შოთაძე** თემაზე **„მახალები ახალშობილ ბავშვთა რახიტის საკითხის შესწავლისათვის"**.

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლ. თოხაძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ივ. ნანავა.**

2. **ეთერ პოლიკარპეს ასული კვიცარიძე** — თემაზე: **„დიფტერიის ფარმაკოლოგიისათვის"**.

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მ. კანდელაკი** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. ვადაჭკორია.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

მოქალაქე **ვახტანგ არშაკის-ძე ბოსტანჯიანმა**, მცხოვრებმა ერევანში, მესამე უბანში, აღძრა საქმე ქ. თბილისში ფურცელაძის ქ. № 32 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ხიმონის ასულ მისკარიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **მიხეილ ბორისის-ძე მელაუროვმა**, მცხოვრებმა შეროზიას ქ. № 8, აღძრა საქმე მარჯანიშვილის ქ. № 46 მცხოვრებ მოქალაქე **ნორა პეტრეს ასულ ლებანიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს სტალინის რაიონის მეექვსე უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ რ. თოდრიას მისი დედის **ფოხინე დიანოზის ასულ თოდრიას** გარდაცვალების გამო.

ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პირველი თერაპიული განყოფილების და ჰოსპიტალური თერაპიული კათედრის ორდინატორები თანაგრძნობას უცხადებენ დოცენტ ი. ჯავახიშვილს მისი მამის **ვასილ პლატონის-ძე ჯავახიშვილის** გარდაცვალების გამო.

ძმა კონსტანტინე, რძალი ბაბი, ძმისწულები შოთა, დომენტი, ნუნუ ოდილავაძეები, დები მაშო ბერაძე და ოლია შენგელია ოჯახებით იუწყებიან **ლიდა ოდილავაძე-ბალანჩივაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-III, წყალტუბოში.

ანიჩკა და თინა რუხაძეები, აღათი, ქეთინა, ლუდა, ილარიონ, ვეტიხა და კონსტანტინე ჩერქეზიშვილები იუწყებიან **იასონ ისიდორეს-ძე რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III, ს. ქუტირში.

ქ. ახალაძე, ს. ქირია, თ. გუგუშვილი, გ. ეგიაზაროვა, ქ. კიწურაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. რამიშვილს მისი ძმის **ამირან ათანასეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. რუხაძეს მისი ძმის **იასონის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. აბდუშელიშვილს მისი მამის **გრიგოლ აბდუშელიშვილის** გარდაცვალების გამო.

ა. მელენჩუკი, ი. ოვანეზოვი, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ჩაჩავა, კვაჭაძე, თ. მირზიაშვილი, თ. თოფურიძე, ქ. ისრაელიანი, გ. ბურჯანაძე, მ. ფავლენიშვილი, ს. ჯავახია, ლ აშჩიანი თანაგრძნობას უცხადებენ რ. თოდრიას მისი დედის **ფოხინე დიანოზის ასულ თოდრიას** გარდაცვალების გამო.

ბ. მოისრაფიშვილი, ა. ჭელიძე, ნ. ანდღულაძე, ა. გოკიელი, ნ. გამრეკელი, ნ. დგებუაძე, შ. კალანდარიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, თ. ლობჟანიძე, ქ. დოლობერიძე, ქ. შარაძენიძე, თ. ჭეიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. არლანიშვილს მისი დედის **ელისაბედ არსენის ასულ არლანიშვილის** გარდაცვალების გამო.

№ 3-10 აბანოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **იასონ დიმიტრის-ძე კუპავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-III, 8 ს. გამოსვენება 23-III, 6 ს. პლეხანოვის, 197.

ქ. ისმაილოვი, ნ. აკოპოვა, თ. ანდღულაძე, ე. შენგელია, ნ. გზირიშვილი, ლ. ზარამიძე, ს. ძამოევა იუწყებიან **იასონ დიმიტრის-ძე კუპავას** გარდაცვალებას.

საქართველოს და ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოს კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ნ. არლანიშვილს მისი დედის **ელისაბედ არსენის ასულ არლანიშვილის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 23-III, ქ. ქუთაისში.

გ. აბაშიძე, გ. ქობულია, ვ. ჯაფარიძე, გ. გამყრელიძე, ნ. ციციშვილი, ო. ჭუმბურიძე, ა. ონანოვი, დ. ზალდასტანიშვილი, გ. ზეიადაძე, ა. ჭუმბურიძე თანაგრძნობას უცხადებენ დოცენტ ი. ჯავახიშვილს მისი მამის **ვასილ ჯავახიშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ე. კულულაშვილს მისი დედის **დაფინა გრიგოლის ასულ კულულაშვილის** გარდაცვალების გამო.

ნ. თოთიბაძე, მ. ჩხეიძე, თ. ზამთარაძე, ც. კახიანი, თ. ეორჟოლაძე, ნ. უნაფქოშვილი, ო აბეტელი, ვ. ცოცხაძე, ლ. ასათიანი, მ. ღვინიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ რ. აბდუშელიშვილს მისი მამის **გრიგოლ გიორგის-ძე აბდუშელიშვილის** გარდაცვალების გამო.

შვილები ნექტეთ, ეკატერინე, ნინო, ნადია, ვარლამ, ტატიკო ჭაიები, რძლები ოლია, თამარ, შვილიშვილები ვერა, სანდრო, სერგო ნეცუბიძეები ოჯახებით იუწყებიან **თებრონე ალმასხანის ასულ ჭაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-III, 7 ს. გამოსვენება 23-III, 6 ს. საბჭოს, 59.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-82 კულტურის, კოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73 24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00438